გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.org.ge/lelo

# ლელო

№ 12
(11 469)

13 – 15 თებერვალი, 2001 წ.

ფასი 40 თეთრი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## საქართველო – უკრაინა: დიდი ფეხბურთი თბილისის ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე

3



საქართველოს ნაკრები ვარჯიშზე



## მიხეილ კაკელიძე კალათბურთში ჭეშმარიტი სახალხო მწვრთნელი იყო

2

## ჭიდაობის ფედერაციამ ეროვნული ჩემპიონატის ღირსეულად ჩატარების მაგალითი გვიჩვენა

2,7



ჩემპიონთა ლიგა

5

## „დინამოს“ ვალების დაფარვის ქსეროასლები სფფ-ს გენერალურმა მდივანმა ფიფაში წაიღო

3

მძლეოსნობა

### გარდაბნელი დავით ილარიანი სპორტულ სეზონს წარმატებით იწყებს



გარდაბნელმა დავით ილარიანმა წარმატებით იასპარეზა ირანის ქალაქ რაშტში გამართულ მძლეოსანთა საერთაშორისო ტურნირში, რომელშიაც 17 ქვეყნის რჩეული ათლეტები მონაწილეობდნენ. ჩვენმა სპორტსმენმა 60 მ-ზე თარჯრბენში 8,21 წ. აჩვენა და მესამე საპრიზო ადგილი დაიკავა, ამავე დისტანციაზე მეხუთე იყო ქუთაისელი სერგეი ტურიატკო – 8,32. მამუკა ტუღუშმა, რომელიც, როგორც პერსპექტიული ბირთვის მკვრელი, ამას წინათ წარვუდგინეთ „ლელოს“ მკითხველებს, 7 კგ-იანი იარაღი 14 მეტრსა და 63 სანტიმეტრზე გადააგდო და მანაც V ადგილი დაიკავა.

### ბეკენბაუერი თავისიანებს აფრთხილებს

მიუნხენის „ბაიერნის“ პრეზიდენტი ფრანც ბეკენბაუერი თავისი გუნდის ფეხბურთელებს მოსკოვის „სპარტაკთან“ ჩემპიონთა ლიგის მატჩის წინ აფრთხილებს: „რუსები ძლიერი მეტოქეები არიან. გუნდი, რომელმაც „არსენალს“ 4-1 სძლია, არ შეიძლება იყოს სუსტი. მომავალი შეხვედრა ძალიან მნიშვნელოვანია. მხოლოდ მისი მოგების შემდეგ შეგვიძლია ვთქვათ, რომ გაგვაჩნია შანსები გავიდეთ მეოთხედფინალში“.

### ყაზახებსაც ევროპაში სურთ

უკვე დიდი ხანია ყაზახეთის საფეხბურთო კავშირი ილვწის უეფაში გაწევრიანდეს, მაგრამ მხოლოდ ბოლო დროს შეინიშნება ამ საკითხში ერთგვარი ძვრები. იტყობინებიან, რომ ფიფა ამის თაობაზე იმსჯელებს კონგრესის სხდომაზე, რომელიც გაიმართება არგენტინაში, 2001 წლის ივლისში.

## კახი ცხადაძე ვარჯიშს შეუდგა



საქართველოს ეროვნული ნაკრების ექს-კაპიტანმა კახი ცხადაძემ მორიგი ტრავმა მოიშუშა და, ამჟამად, თბილისის „ლოკომოტივთან“ ერთად შეკრებაზეა კვიპროსზე. თუ რომელ გუნდში გააგრძელებს კარიერას ცხადაძე, მალევე გაირკვევა.

## აფხაზეთის ტკივილი ნორჩმა ფეხბურთელებმაც შეგვახსენეს



## შაბათს, ეროვნულ სტადიონზე დიდი რაგბი გვეწვევა

2

*ამ გუნდმა აფხაზეთში დაღუპულ ბავშვთა ხსოვნის ტურნირში გაიმარჯვა*



4

### გაზეთის დაბეჭდვის წინ:

### ბანდიტებმა საფეხბურთო გუნდი დაცხრილეს...

გუშინ, ავტომატური იარაღით შეიარაღებულმა პიროვნებამ ცეცხლი გაუხსნა ავტობუსს, რომელსაც სალვადორის წამყვანი გუნდი „დეპორტივო აუდაზი“ ქვეყნის ჩემპიონატის მატჩის შემდეგ შინ მიჰყავდა. მოკლულია მთავარი მწვრთნელი და დაჭრილია სამი ფეხბურთელი.

**ფეხბურთი.** ***2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები.***
***აზიის რეგიონი:*** საუდის არაბეთი — ვიეტნამი 5-0; ბანგლადეში — მონღოლეთი 3-0.
შესარჩევ ჯგუფში საუდის არაბეთი ლიდერობს.
***პორტუგალიის თასი. მეოთხედფინალი.*** „ფამალიკაო“ (II დივ.) — სპორტინგი 1-3 (1-0). ***გოლები.*** ხელდერ ფერეირა, 22 (1-0); აკოსტა, 80 (1-1); შპეხარი, 83 (1-2); შპეხარი, 90 (1-3).

# მომავალ ოლიმპიურ თამაშებამდე 3 წელიწადი და 6 თვე დარჩა

# ზამთრის ოლიმპიურ თამაშებს წელიწადი გვაშორებს

## სამთომეთხილამურეობა

ავსტრიის სამთო-საკურორტო ქალაქ სანტ-ანტანში დასრულდა მსოფლიო ჩემპიონატი სამთომეთხილამურეობაში, სადაც საქართველოდან ბაკურიანელი გიგლა მახარაშვილი და თბილისელი თენგიზ ბაქრაძე მონაწილეობდნენ. ჩვენი ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტის ლერი ახმეტელის დახმარებით მობილურით ავსტრიაში დავუკავშირდით საქართველოს ნაკრების უფროს მწვრთნელს გერა აბრამიშვილს, რომელმაც გვაცნობა, რომ სპეციალურ სლალომში 102 მონაწილეს შორის გიგლა მახარაშვილი 39-ე იყო, თენგიზ ბაქრაძე კი ასპარეზობას გამოეთიშა. გიგანტ სლალომში მოხდა პირიქით — შეჯიბრება ვერ დაამთავრა მახარაშვილმა, ბაქრაძე კი 41-ე ადგილზე გავიდა. მონაწილე აქაც 102 იყო.



გიგლა მახარაშვილი

გერა აბრამიშვილმა აღნიშნა, რომ ჩვენები მხოლოდ მეათედი წამებით ჩამორჩნენ უძლიერეს ოცდაათეულში 25-30-ე ადგილებზე გასულებს და მომავალ სტარტებში მათი წარმატების იმედს იტოვებს.

# სოფიკო ახმეტელს კი თხილამურებზე დადგომის დრო მოუახლოვდა

როგორც „ლელოს" მკითხველებმა იციან, ჩვენმა პირველმა ოლიმპიელმა ქალმა, სამთომოთხილამურემ სოფიკო ახმეტელმა შარშან დეკემბრის დასაწყისში, იტალიის სამთო კურორტ სანტ-ვიჯილიოში ასპარეზობისას ფეხი მოიტეხა, მას შემდეგ, რაც ტრასაზე მოულოდნელად გამოჩენილმა ლატვიელმა სპორტსმენმა დიდი სიჩქარით, უკნიდან დაჯახებით, ფინიშთან ახლოს „ჩაჩეხა". ამის შემდეგ სოფიკო თბილისში დაბრუნდა სამკურნალოდ.

გუშინ რედაქცია დაინტერესდა მისი ჯანმრთელობის მდგომარეობით. როგორც მამამისმა ლერი ახმეტელმა (იგი ჩვენი ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტია) გვითხრა, 14 თებერვალს სოფიკო ევროპაში გაემგზავრება — იტალიის გავლით ჩავა ავსტრიაში, სადაც საქართველოს ნაკრებს შეუერთდება. იტალიაში მას მცირე ოპერაციას გაუკეთებენ, რის შემდეგ კვლავ დადგება თხილამურებზე და ნელ-ნელა შეუდგება ვარჯიშს.

შეგახსენებთ, რომ სოფიკო ახმეტელი ჩვენი ოლიმპიური ნაკრების წევრია და მეორედ იასპარეზებს ოლიმპიურ სარბიელზე. ზამთრის თამაშებამდე კი ერთი წელი რჩება.

## საქართველოს ჩემპიონატი თავისუფალ ჭიდაობაში

# ჩემპიონატმა „ოლიმპიური იმედი" დაასახელა



ახალი ოლიმპიური ოთხწლედის ციკლის ზღურბლზე ასეთი ჩემპიონატისაგან სპორტის მოყვარულები და არა მარტო ისინი, მათთან ერთად სპეციალისტებიც, ბევრ კითხვაზე ელიან პასუხს. საქმე ისაა, რომ ბევრი სპორტსმენი ოლიმპიური თამაშების მერე, სხვადასხვა მიზეზით ტოვებს სარბიელს და მათი შემცვლელი, სწორედ ახალი ციკლის დასაწყისში, რომ იტყვიან, საქმეში უნდა გამოჩნდეს. საბედნიეროდ, სწორედ ამ ჭრილით ჩატარდა საქართველოს პირადი ჩემპიონატი თავისფალი სტილით ჭიდაობაში, რომელმაც არაერთი ახალი სახელი წარმოაჩინა ჭიდაობის ამ სახეობაში.

სხვათა შორის, ეს მოსალოდნელიც იყო, ვინაიდან ყოველი დიდი მასშტაბის შეჯიბრებაზე ასე ხდება. და გამონაკლისი არც გუშინ დამთავრებული ქვეყნის პირველობა ყოფილა, რომელსაც არც მასშტაბურობა აკლდა (საქართველოს თითქმის ყველა კუთხის წარმოამადგენელი იბრძოდა გამარჯვებისთვის) და წარმოიდგინეთ, დონითაც გამოირჩეოდა. მთავარი მაინც ის იყო, რომ იგი ახალგაზრდობის აშკარა აქტიურობით წარიმართა, რომელთაც საკმაოდ ანგარიშგასაწევი ოპონენტები ჰყავდათ ხალიჩაზე: ორგზის ოლიმპიური პრიზიორი ელდარ კურტანიძე, ოთარ თუშიშვილი, ლექსო მოდებაძე, რომელთა წინაშე ახალგაზრდობა არ შედრკა. ამ მხრივ ყურადღება მიიქცია თბილისელმა ზვიად სისაურმა, რომელსაც თვით ე. კურტანიძის პირისპირ მოუწია გამოსვლა და სრულიად აქტიურად ჩაება ორთაბრძოლაში ამ აღიარებული ფავორიტის წინააღმდეგ და დასაწყისში ქულაც დაიმსახურა, რაც შეეხება 20 წლის ზვიად გვილავას, მან ყოვლად უპრობლემოდ წარმართა ყველა შეხვედრა და დამსახურებულ ჩემპიონობასთან ერთად, მოიპოვა „ოლიმპიური იმედის" სპეციალური პრიზი. სასიხარულო და იმედისმომცემი უნდა იყოს ისიც, რომ ჩემპიონთა და პრიზიორთა რიგები საგრძნობლად გადახალისდა.

**კვარცხლბეკი:** *54 კგ:* 1. გოჩა კირკიტაძე (ქუთაისი), 2. ბესიკ გუჩაშვილი (გორი), 3. აკაკი კუნჭულია

იხ. მე–7 გვ.

# 80 წლის ძია მიშა

11 თებერვალს ძია მიშა 80 წლისა გახდებოდა. ამ 80 წლიდან ამიერში მხოლოდ 52 წელიწადი იცხოვრა, იმიერში კი უკვე 28 წელიწადია ცხოვრობს. გარდაცვალების შემდეგ კაცი ფასდება არა წლების, არამედ ნაღვაწთა სიმრავლით. ნაღვაწი კი საქართველოს სახალხო მწვრთნელმა (ხელოვანთა მსგავსად ქართველი ხალხის ამ სასიყვარულო ტიტულს უყოყმანოდ მივანიჭებდი ძია მიშას), ქართული კალათბურთის ისტორიაში ერთ-ერთმა უდიდესმა მწვრთნელმა მიხეილ კეკელიძემ მართლაც რომ მრავლად დაუტოვა შთამომავლობას. ამიტომ უყვარდათ ძია მიშა ამიერში და უყვართ დღესაც იმიერში გადასული, რამეთუ „იმიერიც კი, როცა უყვართ, ამიერია, რამდენი კუბო, კაცი წევს და ცარიელია" (თეიმურაზ ლანჩავა).

ჩარლზ დიკენსი ამბობდა: „მომიგონებდე ისეთს, როცა ყველაზე კარგი ვიყავი". 1958 წლიდან, როცა ქუთაისში სკოლა დავამთავრე და ჩემმა პირველმა მწვრთნელმა, მას განუყრელმა მეგობარმა, ცნობილმა სულიკო თორთლაძემ ჩემი თავი ძია მიშას ჩააბარა ჯერ საქართველოს მოსწავლეთა ნაკრებში (იმ წელიწადს თბილისში ძია მიშას ხელმძღვანელობით საბჭოთა კავშირის ჩემპიონები გავხდით მოსწავლეთა შორის) და შემდეგ თბილისის „ბუევესტნიკში" (სადაც 10 წელიწადზე მეტი ვითამაშე) გარდაცვალებამდე მე და ძია მიშას შორის იყო მხოლოდ და მხოლოდ მამაშვილური დიდი სიყვარული, ამიტომ ძია მიშა ამ დაუვიწყარი წლების განმავლობაში ყოველთვის იყო „ყველაზე კარგი" და სწორედ ასე ვიგონებ დღესაც.

იყო ახოვანი და ლამაზი ქართველი ვაჟკაცის განსახიერება, ამიტომ არ აკლდა ლამაზ მანდილოსანთა მოჭარბებული ყურადღება, როგორც საქართველოში, ისე განსაკუთრებით მის საზღვრებს გარეთ. თუმცა არასდროს არ ივიწყებდა ოჯახის ერთგულების ქართულ ტრადიციებს და უზომოდ უყვარდა თავისი ოჯახი — მეუღლე ქალბატონი ნათელა და შვილები მარინე და მერაბი, რომელიც დღეს წარმატებით აგრძელებს მამის საქმეს და არის მიხეილ კეკელიძის სახელობის კალათბურთის ბავშვთა სპორტული სკოლის (ცნობილი „მართვეს") დირექტორი.

მრავალმხრივი ნიჭით უხვად იყო დაჯილდოებული. წლების განმავლობაში ლეგენდარული კალათბურთელების ოთარ ქორქიასა და ნოდარ ჯორჯიკიას გვერდით წარმატებით თამაშობდა თბილისის „დინამოში". უდიდესი წარმატებით იმოღვაწა, როგორც ბავშვთა, ისე მოზრდილ კალათბურთელთა სამწვრთნელო ასპარეზზე. ეს კი ბედნიერი გამონაკლისია, რადგან ბავშვთა და მოზრდილთა მწვრთნელობა მსოფლიოში ერთმანეთისაგან მკაცრად არის გამიჯნული.

იყო ფრიად განსწავლული. წარმატებით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი იმ დონეზე, რომ აკადემიკოსი კორნელი კეკელიძე თავის კათედრაზე ასპირანტად ეპატიჟებოდა, მაგრამ მან ცხოვრების მიზნად კალათბურთი აირჩია და სიცოცხლის ბოლო წუთამდე, არ უღალატია მისთვის.

სულიკო თორთლაძის დარად იყო პოეზიის დიდი ტრფიალი და შემოქმედი, თუმცა თავისი ლექსები არც არასდროს წარმოუთქვამს და, მით უმეტეს, არ გამოუქვეყნებია. ერთადერთხელ მქონდა ბედნიერება მომესმინა მისი ლექსები. ეს მოხდა 1968 წელს, ბაქოში. ერთ-ერთი თამაშის წინ ძია მიშას მაღალი სიცხე მისცა და მან ისურვა, რომ თავზე მე დავდგომოდი. გუნდი კი სათამაშოდ წავიდა. ძია მიშას სიცხე უფრო მოემატა. უცბად თვალდახუჭულმა დაიწყო ხმამაღლა ლაპარაკი. მეგონა აბოდებდა, მაგრამ როცა ყურადღებით მოვუსმინე, ის ლექსებს ამბობდა. შემდეგში გამოირკვა, რომ ეს იყო მისი საკუთარი ლექსები, რომლებსაც პროფესიონალი პოეტის ლექსისაგან ძნელად თუ განასხვავებდი.



არ უყვარდა პირველკაცობა, თუმცა მისი მაღალი პროფესიული სიტყვა ყოველთვის პირველობდა. რამდენჯერმე შეეძლო გამხდარიყო თბილისის „დინამოს" მთავარი მწვრთნელი, მაგრამ მან არასდროს უღალატა „ბურევესტნიკს". მიიწვევდნენ საქართველოს ნაკრების პირველ მწვრთნელად, ის კი თანხმდებოდა მხოლოდ მეორე მწვრთნელობაზე. ასევე იყო საბჭოთა კავშირის სტუდენტთა ნაკრებშიც, სადაც „ბურევესტნიკიდან" 4 კალათბურთელი მიგვიწვიეს და ძია მიშა აქაც მეორე მწვრთნელობაზე დათანხმდა, ამიტომ მას არ ეხება დიდი ქართველი პოეტის შოთა ნიშნიანიძის ეს სიტყვები:

*„ო, ერო, პირველკაცობაზე შეშლილო ერო,*
*პირველობისთვის სულ მზადა ხარ მახვილი კვეროˮ.*

ძია მიშას პირველკაცობისთვის არავისთვის არასდროს მახვილი არ გამოუკვერია. პირიქით, მისი ფაქტიური პირველკაცობით ბევრი ივსებოდა შურით და ძია მიშას უსაყვარლესი „ბურევესტნიკის" გუნდის ჩასაძირავად ბევრი „შადიმანი" ხითხითებდა და ფარულად კვერავდა მახვილს. ასე იყო იმ საბედისწერო სეზონშიც, როცა „ბურევესტნიკს" დახმარების ნაცვლად, ვისაც როგორ შეეძლო ხელს უშლიდა და ცდილობდა მისი უმაღლესი ლიგიდან გავარდნას, რათა ამის ხარჯზე გაეძლიერებინათ თბილისის „დინამო". ყველასაგან განწირული და ბედის ანაბარად მიტოვებული „ბურევესტნიკი" კი მაინც დაჭრილი ლომივით იბრძოდა, მან საბჭოთა კალათბურთის აღიარებულ გრანდებთან ვაჟკაცურ ბრძოლებში ღირსეულად დატოვა უმაღლესი ლიგა. არადა, 7 შეხვედრა წააგო ერთი ქულით და ამ 7 შეხვედრიდან ერთიც რომ მოეგო, ის რჩებოდა უმაღლეს ლიგაში.

დიახ, გავარდა უმაღლესი ლიგიდან თბილისის „ბურევესტნიკი" ბევრი „შადიმანის" ხელშეწყობით, რასაც შეეწირა ძია მიშაც, რომელსაც ამის შემდეგ, დიდხანს აღარ უცოცხლია და „ბურევესტნიკიც", ფაქტიურად, საბოლოოდ დაიშალა. აქედანვე დაიწყო ქართული კალათბურთის გლობალური კრიზისიც. ბოლოს ეს „შადიმანებიც" მიხვდნენ, რომ „ბურევესტნიკის" განადგურებით მათ გადაჭრეს ქართული კალათბურთის მაცოცხლებელი არტერია და მიმალვა არჩიეს. სწორედ მათ მიმართ აქვს ნათქვამი შოთა ნიშნიანიძეს:

*„ო, მოხითხითე საქართველოვ შადიმანების,*
*ო, შურო, შურო, ბაყბაყდევო, სად იმალები?"*

დიდი ვაჟა ამბობდა, რომ „როცა კაცი კვდება, მისი ფიქრიცა კვდება". არადა, როგორ აკლია დღეს თბილისს დიდი მწვრთნელის მიხეილ კეკელიძის, ხოლო ქუთაისს ასევე დიდი მწვრთნელის სულიკო თორთლაძის ფიქრი და საქმე.

მხოლოდ 52 წელი იცხოვრა ძია მიშამ და იცხოვრა კაცურად, მამულიშვილურად. მას არასდროს არავინ ჰყოლია მფარველი და პატარაობიდანვე მარტოდ იყო შებმული ცხოვრების ულელში, ამიტომ მინდა ძია მიშასადმი მიძღვნილი ეს მოგონება დავამთავრო ამ სიტყვებით — „დაბადებიდან საკუთარი ლუკმით იზარდე, კურთხეულ იყავ უკუნითი უკუნისადმი", ამინ!

**ანზორ საკანდელიძე**

# ამ გაგანია თებერვალში დიდი რაგბი თბილისშიც გვეწვია

*გვეწვია შაბათს ეროვნულზე დიდი რაგბია ● ჩამოდიან ჰასპეკიანი და უმცროსი იაშვილი ● 24-გვერდა ბროშურა მუქთად*

შაბათს, 17 თებერვალს, ეროვნულ სტადიონზე, „ევროპის ერთა თასის" მეორე ტურის პროგრამით საქართველო მასპინძლობს პორტუგალიას. მატჩი 15 საათზე დაიწყება და საქართველოს ტელევიზიის I არხით ცოცხლად გადაიცემა.

პორტუგალები კავკასიაში ოთხშაბათს, შვეიცარიული „სვის ეარის" თვითმფრინავს ჩამოყვებიან და კვირას უკანვე გაუტევენ. პარასკევს, 13 საათზე, საქართველოს რაგბის კავშირის ვაკის ოფისში (ჭავჭავაძის გამზირი 49ა); გაიმართება მატჩის პრეზენტაცია, ამასთან, ოფისი მუქთად დაარიგებს 24-გვერდა, ჯიბით სატარებელ ბროშურას, რომელიც „ერთა თასს", მომავალ, 2003 წლის მსოფლიო თასს, „ბორჯღალოსანთა" ამომწურავ სტატისტიკასა და რაგბის ოლიმპიურ პერსპექტივას მიმოიხილავს. მორაგბეთა და მედიის ამ შეხვედრას პეწს უთუოდ მატებს ის, რომ ქართველები თვალდათვალ პირველად ვიხილავთ „ბორჯღალოსანთა" ახალბედას, გრიგოლ იაშვილს, ვინც გამოჩენილი ფრანგი მორაგბის, მიშელის ვაჟია. და კიდევ, მედიას უეჭველად წარუდგება მარსელში მცხოვრები პენსიონერი, ბატონი ჟაკ ჰასპეკიანი, ვინაც 1960 წელს თბილისში რაგბის პირველი გუნდი ჩამოაყალიბა, საქართველოში კი 35 წლიანი არყოფნის შემდეგ გვეწვევა. ერთი-ორი „ბორჯღალოსნის" გარდა, დღესდღეობით ყველა რჩეული ქართველი მორაგბე საფრანგეთის კლუბში თამაშობს. ნაჰოლანდიევს ჩვენების ფრანგმავე მოძღვარმა, კლოდ სორელმა კოსტა-რიკაში ჩააკითხა ცოლ-შვილს. მესიე დღე-დღეზე საქართველოში ჩამოვა, მისი მოფრანგულე შეგირდები კი პარტია-პარტიად მოგროვდებიან დედაქალაქში, რათა დედა-სამშობლოს ღირსება დაიცვან და სპორტულ გამარჯვებებს დანატრებული ერი და ბერი გაახარონ.

კლოდ სორელმა ჰოლანდიასთან შებმის წინ ფრიად წაიოინბაზა: გამოაცხადა ერთი შემადგენლობა, ათამაშა კი სულ სხვა. ამჯერად იმედი ვიქონიოთ, რომ პატივცემული მესიე, რასაც მედიას მატჩის წინადღით გაანდობს, მართალი გამოდგება.

თბილისის მატჩის გარდა, კიდევ ორი თამაშია, ოღონდ ორივე კვირა დღეს გაიმართება: რუსეთი ჰოლანდიას ამსტერდამში ეწვევა, ესპანეთი კი სევილიაში უმასპინძლებს რუმინეთს. რუმინეთი წელსაც ფავორიტია.

დღემდე პორტუგალიის ეროვნულმა გუნდმა გამართა 125 მატჩი: მათგან მოიგო 50, წააგო 68 და შვიდიც ფრედ დაამთავრა. ყველაზე მეტი კეპი - 48 მოხვეჭილი აქვს ჟოანუ კიმადუს (ბენფიკა), ვინც ნაკრებში 1984-94 წლებში შუამარბად თამაშობდა. რაგბი ქვეყანაში საკმაოდაა გავრცელებული: პორტუგალიის რაგბის ფედერაცია დღესდღეობით 50 კლუბსა და ყველა ასაკის 3500 მოთამაშეს აერთიანებს. (შედარებისთვის: საქართველოში 20 კლუბი და 1200 მორაგბეა) ბოლო ოთხწლედში პორტუგალთა შედეგი ასეთია: 1998 წელს, IV მსოფლიო თასის მეორე შესარჩევი ეტაპის პულში, პორტუგალიამ შინ 30:6 ძლია გერმანია, სტუმრად 15:10 ჩეხეთი, სტუმრადვე 22:33 წააგო ესპანეთთან, მაგრამ ბოლოს შინ 53:11 დალახვრა ანდორა და ესპანეთის კვალად მეორე ადგილი დაიჭირა. ამავე წლის ნოემბერში პორტუგალიამ მესამე ეტაპზე, შოტლანდიაში, 11:85 წააგო მასპინძლებთან, ხოლო ესპანეთთან 17:21 დამარცხდა და მსოფლიო თასზე პირდაპირ ვერ გავიდა. მერე, 1999 წლის გაზაფხულზე, იყო რეპეშაჟი. მის პირველსავე წრეში პორტუგალიამ ორჯერ წააგო ურუგვაისთან (სტუმრად 9:46, შინ 24:33) და გავარდა. ამავე სტადიაზე ტონგამ აჯობა საქართველოს, კორეამ ჰოლანდიას, რითაც ამ სამმა ძლეულმა ევროპულმა გუნდმა მსოფლიო თასის რეიტინგში გაიყო 23-ე ადგილი. შარშან „ერთა თასი" პირველად გათამაშდა. პორტუგალიამ შინ, სტარტზევე 30:32 წააგო „ბორჯღალოსნებთან", მერე 33-წლიანი ნავსი გატეხა და შინ 21:19 ძლია ესპანეთი, მაგრამ მალე რუმინეთთან სტუმრად 3:33 დამარცხდა, მაროკოს შინ 9:3 მოუგო, ჰოლანდიასთან გადამწყვეტი შებმა სტუმრად 11:13 წააგო და თასზე ბოლო, V ადგილი დაიჭირა. წესითა და რიგით, პორტუგალია თასიდან სინზე უნდა ჩაქვეითებულიყო, მაგრამ ევროპული რაგბის მამებმა, მსოფლიოთა მითითებით, მაროკო აფრიკაში გაისტუმრეს, რითაც პორტუგალია თასზე დარჩა, მაგრამ ვაგლახ, რომ რუმინეთთან მწარედ დამარცხდა. ერთი წელია, პორტუგალებს ახალზელანდიელი იუან კროუფორდი წვრთნის.

დასასრულ, საქართველო - პორტუგალიის წინა მატჩების გამო. ანგარიში ჯერჯერობით საყაიმოა: ერთი იმათ მოგვიგეს და ერთშიც ჩვენ ვიმარჯვეთ. 1997 წლის 19 აპრილს, ლისაბონის უნივერსიტეტის სტადიონზე, მეტოქემ 21:17 მოგვიგო ფრანგი მსაჯის, ალენ ფერნანდესის დახმარებითა და თამაშის ბოლოს გატანილი ლელოთი. ამას ფრიადი ვნებათღელვა მოყვა და რეფერი მოედანზევე გაილახა. ლამის მაქეთკენ, ოღონდ უცემრად, მიდიოდა საქმე შარშან, 6 თებერვალს. ქართველები ერთი პირობა 15 ქულით, 27:12 დავწინაურდით, მაგრამ მსაჯმა ახლაც ისე გამოიდო თავი, რომ მასპინძელთა დამრტყმელ ტიერი ტეშერას ბოლოს ათი გოლი დაუგროვდა, მაშინ, როცა ჩვენების მონაგარი ოთხი ლელო იყო. ჩვენდა ბედად, სამართალმა პური ჭამა და „ბორჯღალოსანთა" ყოჩმა ლევან „ლეონსიო" ცაბაძემ კრიტიკულ მომენტში ძალით დააშამათა მეტოქე. პორტუგალთა ჯილა, ტომით ავსტრალიელი 15 ნომერი როან ჰოფმანი 4.

მოგვაწოდა
**ზაალ გიგინეიშვილმა**

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საინფორმაციო ბიულეტენი

# საქართველო — უკრაინა

## ქართულ გუნდებში დანაკლისია



ვალენტინობა დღეს, 14 თებერვალს, ქართველები და უკრაინელები სანაკრებო სეზონს გახსნიან. სამწუხაროდ, ქართულ გუნდებში დანაკლისია. ეროვნულ ნაკრებში ტრავმის გამო ვერ ითამაშებს შოთა არველაძე, ახალგაზრდულში ლაშა ჯაკობია. ეროვნული გუნდი გუშინ შეიკრიბა დიღმის საწვრთნელ ბაზაზე და ვარჯიშს შეუდგა. დღეს, 16 საათზე ნაკრები საფუძვლიანად ივარჯიშებს ეროვნულ სტადიონზე და მწვრთნელები საბოლოოდ შეარჩევენ შემადგენლობას. ახალგაზრდული ნაკრები სასტუმრო „მესაზღვრეში" განთავსდა და დღეს „შევარდენზე" 13 საათზე ივარჯიშებს.

სტუმრები კი დღეს, 15 საათზე ჩამოფრინდებიან თბილისში. ეროვნული გუნდი „მეტეხში" დაბინავდება, ახალგაზრდული „მონოპოლში". ვლადიმერ ონიშჩენკოს შეგირდები „შევარდენის" სტადიონზე, სავარჯიშოდ, პირდაპირ აეროპორტიდან მივლენ 16 საათზე. ეროვნული ნაკრები ლობანოვსკის თანაშემწეების ვლადიმერ ვერემეევისა და ლეონიდ ბურიაკის თავკაცობით ეროვნული სტადიონის მწვანე გაზონს 19 საათზე გასინჯავენ.

ქართველებს სარევანშოდ გვაქვს საქმე. წინა ორი შეხვედრა უკრაინელებმა მოიგეს 1998 წლის 19 აგვისტოს 4-0 კიევში და 1999 წლის 20 მარტს 1-0 თბილისში. სერიოზული პაექრობის მოლოდინში ვართ, უკრაინის ნაკრები ნებისმიერი შემადგენლობით მრისხანე ძალაა და თუ ამჯერად იქ ლეგიონერები არ არიან მიწვეულნი, დამშვიდების უფლებას არ გვაძლებს. რევაზ ძოძუაშვილი და დავით ყიფიანი ამ მატჩს დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ და ნაკრების თითქმის ძირითად შემადგენლობას მოუყარეს თავი.

ეროვნული ნაკრებისგან განსხვავებით, ქართველი და უკრაინელი ჭაბუკების პირად შეხვედრებში მურთაზ ხურცილავას შეგირდებს უპირატესობა აქვთ, მათ ფრედ ითამაშეს კიევში 1-1, თბილისში კი მოიგეს 1-0.

საბა ლომინაძე

**მატჩი ჩატარდება ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე, დასაწყ. 15.00.**

**საქართველო:** ***მეკარეები*** — დავით გვარამაძე (სკონტო), ირაკლი ზოიძე (ტორპედო); ***მცველები*** — ზურაბ ხიზანიშვილი (ლოკომოტივი თბ.), ლევან სილაგაძე, სევასტი თოდუა, რევაზ ქემოკლიძე (ყველანი — ტორპედო), კახი კალაძე (მილანი); ***ნახევარმცველები*** — გიორგი ნემსაძე (დანდი), ალექსანდრე რეხვიაშვილი, ზურაბ მენთეშაშვილი (ორივე — სკონტო), თემურ ქეცბაია (ვულვზი), გოჩა ჯამარაული (ციურიხი), ლევან კობიაშვილი, ლევან ცქიტიშვილი (ორივე — ფრაიბურგი); ***თავდამსხმელები*** — არჩილ არველაძე (კიოლნი), მიხეილ ყაველაშვილი (ციურიხი), ალექსანდრე იაშვილი (ფრაიბურგი), მიხეილ აშვეთია (ტორპედო). ***მთავარი მწვრთნელები*** — დავით ყიფიანი, რევაზ ძოძუაშვილი.

**უკრაინა:** ***მეკარეები*** — ალექსანდრე შოვკოვსკი (დინამო კ.), იური ვირტი (შახტარი); ***მინდვრის მოთამაშეები*** — ვლადისლავ ვაშჩუკი, ალექსანდრ გოლოვკო, ანდრეი ნესმაჩნი, იური დმიტრულინი, ვიტალი ლისიცკი, სერგეი ფიოდოროვი, ვასილი კარდაში, არტიომ იაშკინი, ოლეგ ვენგლინსკი, ალექსანდრ მელაშჩენკო (ყველანი — დინამო კ.), იაროსლავ ხომა, ანდრეი კონიუშჩენკო, ანატოლი ტიმოშჩუკი, ანდრეი ვარაბეი, სერგეი პოპოვი, მიხაელ სტაროსტიაკი (ყველანი — შახტარი). ***მთავარი მწვრთნელი*** — ვალერი ლობანოვსკი. **არბიტრი** — ხოგან მამედოვი (აზერბაიჯანი).

**ახალგაზრდული ნაკრებები**

**მატჩი ჩატარდება 14 თებერვალს, 12.00. „შევარდენის" სტადიონზე.**

**საქართველო:** ***მეკარეები*** — მირზა მერლანი (ვიტ ჯორჯია), ზურაბ ბათიაშვილი (დინამო თბ.); ***მცველები*** — მამუკა წერეთელი (ალანია), ედიკ საჯაია (ვიტ ჯორჯია), ვალერი აბრამიძე (უგუნდო), დავით დიღმელაშვილი (ვიტ ჯორჯია), ალექსანდრე ჩივაძე (დინამო თბ.); ***ნახევარმცველები:*** ზურაბ ძამსაშვილი (ტორპედო), ლევან გვაზავა (ზიმბრუ), ლევან კორღალიძე (სკონტო), ოლეგ გველესიანი (დინამო ბთ.), გიორგი მანწკავა (დინამო თბ.), მალხაზ ასათიანი (ტორპედო), ლადო ბურდული (დინამო თბ.); ***თავდამსხმელები:*** დავით სირაძე (ერზუმსპორი), კლიმენტი წიტაიშვილი (ირონი, ისრაელი), ლევან მელქაძე (ვიტ ჯორჯია), გია იმედაძე (ტორპედო). ***მთავარი მწვრთნელი*** — მურთაზ ხურცილავა.

**უკრაინა:** ***მეკარეები*** — ვიტალი რუდენკო (ჩერნომორეცი), მაქსიმ სტარცევი (დნეპრი); ***მცველები*** — ბოგდან შერშუნი, რომან პასიჩნიჩენკო, სერგეი მატიუხინი (ყველანი — დნეპრი), სერგეი ბილოზორი (ცსკა), ვიაჩესლავ შევჩუკი (შახტარი), არტიომ ფედორჩენკო (სტალი); ***ნახევარმცველები*** — სერგეი დიტკოვსკი, სერგეი ტკაჩენკო, ალექსანდრ ალექსიენკო (ყველანი — ცსკა), არტიომ აკოფიანი (მეტალურგი ზაპ.), ევგენი ტარანი (მეტალურგი მარიუპ.). სერგეი ხომუტოვი (პოლიგრაფტექნიკა) იგორ სკობა (დინამო); ***თავდამსხმელები*** — ალექსეი ბელიკი (შახტარი), დენის პოიდა (ობოლონი). ***მთავარი მწვრთნელი*** — ვლადიმირ ონიშჩენკო.

# მსაჯები და ინსპექტორები — გამოცდებზე!

გვიახლოვდება საფეხბურთო სეზონი და ფეხბურთელებთან ერთად გამალებულ მზადებაში არიან მსაჯებიც. 21-23 თებერვალს ისინი სასტუმრო „შევარდენში" განთავსდებიან. 21 თებერვალს ეროვნულ სტადიონზე 11 საათზე ფიზიკურ ნორმატივებს და ტესტებს ჩააბარებენ. ვინც პირველ ცდაზე ერთ-ერთ ნორმატივს თავს ვერ გაართმევს, იმავე დღეს შეიძლება მისი განმეორებით ჩაბარება.

22 თებერვალს დიდუბის სპორტულ კომპლექსში 10 საათიდან თეორიული გამოცდებია, გამოიყენებენ ვიდეომასალასაც. 23 თებერვალს იქვე სფფ-ს ხელმძღვანელობა სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტის წარდგინებით, ლიცენზიებს გადასცემს უმაღლესი და პირველი ლიგის მსაჯებს და თანამსაჯებს. თუ მსაჯი ფიზიკურ ნორმატივებს ვერ ჩააბარებს, თეორიულ გამოცდაზე არ დაიშვება. 26-27 თებერვალს მატჩების ინსპექტორებიც ჩააბარებენ ზეპირ და წერილობით გამოცდას. ისინი 36 შეკითხვიან ტესტს უპასუხებენ.

დაინტერესებულ ჟურნალისტებს შეეძლებათ დაესწრონ ამ ღონისძიებებს.

# საჩუქარი მიიღე... თუ ვალი არ გაქვს

**საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია ახალი სეზონის წინ დახმარებას გაუწევს და უფასოდ დაურიგებს ბურთებს: უმაღლესი ლიგის გუნდებს გადაეცემათ 10-10 ბურთი, პირველი ლიგისას 5-5, რეგიონული ლიგისას 3-3, უმაღლესი და პირველი ლიგის გუნდები მიიღებენ აგრეთვე სამედიცინო ჩანთებს.**

**დახმარებები გაიცემა მხოლოდ იმ გუნდებზე, რომელთაც სფფ-ს დავალიანება არ აქვთ.**

# სფფ-ს გენსეკის სასიამოვნო ვიზიტი

დღეს დილით შვეიცარიაში გაფრინდა სფფ-ს გენერალური მდივანი ვალერი ჩოლარია. დღესვე შუადღისას უეფას შტაბბინაში, ნიონში EEAB-ს საბჭოს სხდომას დაესწრება. დამტკიცდება სფფ-ს ოფისის მშენებლობისათვის გრანტის გამოყოფის საკითხი. 16 თებერვალს ვალერი ჩოლარია ფიფას სადისციპლინო კომიტეტს წარუდგენს „დინამოს" ხელმძღვანელობის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციას, რომლის მიხედვითაც „დინამომ" „მრეტების" ვალი სრულიად დაფარა და ფიფას მიერ დაწესებული ჯარიმა 5 ათასი შვეიცარიული ფრანკიც გადაიხადა.



**ძმები არველაძეები — ერთ კადრში!**
**ტყუპებიდან, ხვალ, მხოლოდ არჩილი ითამაშებს ეროვნულ ნაკრებში**

# იყო ასეთი შემთხვევა

## გოლი ჩაითვალა

**ინგლისის ქალაქ მანჩესტერში გაიმართა სასკოლო პირველობის კალენდარული მატჩი ფეხბურთში. ერთმანეთს ხვდებოდა „სტეილიბრიჯ სელტიკის" და „ჰოლინგუორტ ჯუნიორსის" ფეხბურთელთა გუნდები. მატჩის კულმინაციურ მომენტად იქცა შემთხვევა, რომელიც „სტეილიბრიჯის" 13 წლის თავდამსხმელ დანი უორტინგტონის დარტყმა მოჰყვა დაახლოებით 25 მეტრიდან მეტოქის კარში. ბიჭუნა ისის იყო შემობრუნდა მოედნის ცენტრისკენ — რადგან ჩათვალა რომ ბურთი კარს აასცილა. მოხდა გაუთვალისწინებელი რამ — ბურთს ჰაერში თოლია შეეჯახა და ბურთიანად კარში აფართხალდა... მალე „დაუპატიჟებელი სტუმარი" გონს მოეგო და ფრენა განაგრძო. მსაჯის გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა ინგლისის ფეხბურთის ასოციაციამ. არბიტრმა გოლი ჩათვალა.**

მოგვაწოდა
დემურ ტორაძემ (ხონი)

# შეკრება პლუს ორი მატჩი

საქართველოს 17 წლამდელთა ნაკრები გერმანიისთვის ვიზიტის მზადებაშია. ევროპაში გუნდი 17 თებერვალს გაემგზავრება. სრულყოფილ საწვრთნელ შეკრებას ქალაქ აალენში გაივლის და გერმანელ თანატოლებთან ორ ამხანაგურ-საკონტროლო მატჩს გამართავს 20 და 22 თებერვალს. ნაკრების თავკაცმა კობა ჟორჟიკაშვილმა 18 ფეხბურთელი შეარჩია: ***მეკარეები*** — მიხეილ მუჯრიშვილი (ვაკე91), დავით ჯვარშეიშვილი (35-ე ს.ს.); ***მცველები*** — გიგლა ახალაია (მერანი), მამუკა ლომიძე (ვალენსია 83), ლაშა ჰელიძე (ტორპედო), ბესო მიქიაშვილი (ირაო), ნოდარ ებრალიძე (დინამო თბ2); ***ნახევარმცველები*** — ზურაბ კვახაძე (ნორჩ. დინამო), გოჩა მახარაძე (დინამო ბთ), ლევან ობგაიძე (თბილისი), ლევან ხმალაძე (თბილისი), გიგი კაპანაძე (35-ე ს.ს.), გოჩა ხოჯავა და ზაალ ელიავა (ორივე — ირაო); ***თავდამსხმელები*** — ლადო იაშვილი (ირაო), ვალერიან კაციტაძე (ნორჩი დინამო), ვასილ გუჩაშვილი (35-ე ს.ს.), ამირან ყაველაშვილი (გაზაფხული, გორი).

# ჟურნალისტთა საყურადღებოდ!

საქართველო – უკრაინის ეროვნულ ნაკრებთა ამხანაგურ მატჩზე (14.02) აკრედიტაცია გაიცემა 13 თებერვალს 10-დან 18 საათამდე, 14 თებერვალს 9-დან 11 საათამდე.

მიმართეთ ფეხბურთის ფედერაციას ტელეფონი: 25-01-16; მისამართი ი. ჭავჭავაძის პროსპექტი 49ა.

# ხიზანიშვილი 6 თვით „ფულჰემში" ითამაშებს

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ ინგლისის საფეხბურთო ასოციაციას გადაუგზავნა თბილისის „ლოკომოტივისა" და საქართველოს ეროვნული ნაკრების მცველის ზურაბ ხიზანიშვილის დროებითი სატრანსფერო სერტიფიკატი ინგლისის პირველი დივიზიონის ერთპიროვნული ლიდერის „ფულჰემში" სათამაშოდ. 6 თვის შემდეგ ქართველი ლეგიონერი რკინიგზელთა კლუბს დაუბრუნდება.

# ვალს კრედიტით ისტუმრებენ...

ფიზკულტურულ-სპორტულმა კლუბმა „დინამომ", ამ დღეებში კრედიტი გამოიტანა და გუნდის მევალეებს — „მრეტებსა" და ფიფას შესაბამისად 240 ათასი აშშ დოლარი და 5 ათასი შვეიცარიული ფრანკი გადაურიცხა.

გსურთ სამ თვეში უცხო ენის შესწავლა?
მიაკითხეთ „ელიტა სკ"-ს. ენის საუკეთესო სპეციალისტები შეგასწავლიან ინგლისურ, გერმანულ, ფრანგულ, იტალიურ, ესპანურ, თურქულ და რუსულ ენებს.
გსურთ კომპიუტერის შესწავლა?
მიაკითხეთ „ელიტა სკ"-ს
ERC
„ელიტა სკ"
ELITE-RC CO.LTD
უცხო ენების და კომპიუტერის სწრაფი კურსები
თბილისი-380077, ვაჟა-ფშაველას 44 (მ. დელისი), ტელ.: 39-87-25,
E-mail: erc@caucasus.net

# რა ელის „თანამეგობრობას“

## უკრაინელთა ულტიმატუმი ძალაშია!

**ახლა, როცა ამ წერილს კითხულობთ, უკრაინის ეროვნული ნაკრები თბილისისკენ გზას დაადგა და 14 თებერვალს ამხანაგურ მატჩში ქართველებს გაეჯიბრება. სლავთა სტუმრობა ქართველ გულშემატკივრებს ორი მიზეზით აინტერესებთ. რაც მთავარია, ოთხშაბათის შეხვედრამ პასუხი უნდა გასცეს კითხვას, როგორ მზადყოფნაში არიან მეტოქე ნაკრები გუნდები მოახლოებული მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ციკლისათვის, შესწევთ თუ არა ძალა იბრძოლონ იაპონია-კორეის ფინალური ტურნირისათვის? ამასთან ერთად, არის მეორე გარემოება, რომელზეც, ჩვენი აზრით, უკრაინელების საქართველოში ჩამოსვლით პასუხი გაეცემა — მართლა აპირებენ თუ არა ისინი მომავალში ბოიკოტი გამოუცხადონ მოსკოვის „თანამეგობრობის“ ტურნირს?**

დასრულდა თუ არა „თანამეგობრობა-2001“, საფეხბურთო წრეებში ხმა გავრცელდა, რომ ამიერიდან უკრაინის ჩემპიონი ამ ტურნირის ბოიკოტირებას აპირებს და, ცხადია, ამით ეს ასპარეზობა ძალზე გაუფერულდება, მეორეხარისხოვანი გახდება. რასაკვირველია, ამ თემას გვერდი ვერ აუარა რუსეთის საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტმა ვიაჩესლავ კოლოსკოვმა, რომელმაც ცხელ გულზე განაცხადა — სჯობდა, კიეველებს მოსკოვში სათამაშოდ საერთოდ არ გამოეგზავნათ გუნდი, ვიდრე ისეთი სახით, რომელმაც ასე უსუსურად იასპარეზა ამ ტურნირშიო.

ცხადია, კოლოსკოვის ასეთი გამონათქვამი არ ეპიტნავა უკრაინის ფეხბურთის ფედერაციის თავკაცს გრიგორი სურკისს. მან კიევში საგანგებო პრეს-კონფერენცია მოიწვია, სადაც განაცხადა: „ამიერიდან ჩვენი ქვეყნის ჩემპიონი „თანამეგობრობაზე“ აღარ ითამაშებს“. ამის შესახებ ორი კვირის წინათ შევატყობინეთ კიდეც „ლელოს“ მკითხველებს.

ნათქვამია, დრო ყველაფრის მკურნალიაო. ეტყობა, ვნებები დაცხრა და გასულ შაბათს სურკისმა კიდევ ერთი პრესკონფერენცია მოიწვია. ამჯერად უკრაინელებმა შეარბილეს თავიანთი პოზიცია.

● ***გრიგორი მიხეილის ძევ, ხმები დადის, რომ კიევის დინამოელები უარს აცხადებენ „თანამეგობრობის“ თამაშზე პრინციპული მოსაზრებების გამო. ხომ არ დააკონკრეტებდით?***

— რამდენიმე ათეული წლის წინათ დაგებულ გაზონზე კიევის „დინამო“ აღარ ითამაშებს. ეს საფარი ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს! ფეხბურთელი შეიძლება სერიოზულად დაშავდეს. მაგალითი გნებავთ? კი ბატონო, — ტრავმა გერასიმენკოსი, იგი ხომ ასე გამოადგებოდა გუნდს ამ სეზონში. უფრო მეტიც, ამჟამად ექიმები ძლიერ ეჭვობენ, შეძლებს თუ არა იგი, საერთოდ, გააგრძელოს სპორტული კარიერა. მოსკოვში უნდა იზრუნონ საფარის გამოცვლაზე. ხომ შევძელით ეს კიევში. აქ ორი ასეთი უნივერსალური გაზონი გაგვაჩნია — ერთი დინამოელთა ბაზაზე, კონჩაზასპეში, მეორე — მანეჟში. ნუთუ რუსეთის საფეხბურთო კავშირისთვის ასე ძნელია მაღალხარისხიანი საფარის დაგება? ბოლოს და ბოლოს, ეს ტურნირი ხომ ფიფას საერთაშორისო კალენდარში შედის და სთხოვონ სახსრები ბატონ ბლატერს. იგი უარს არ იტყვის.

● ***კოლოსკოვის თქმით, თანამედროვე ხელოვნური გაზონის დაგება 250 ათასი დოლარი ჯდება...***

— და თქვენ ფიქრობთ, ეს დიდი თანხაა? კარგით, მაშინ შემდეგს ვთავაზობ: ტურნირში მონაწილე გუნდებმა რამდენიმე წლით უარი ვთქვათ საპრიზო ფონდზე და ამ ფულით დავაგოთ ნორმალური გაზონი.

● ***ვის სჭირდება ტურნირი საპრიზო ფონდის გარეშე?***

— გიმეორებთ, რამდენიმე წლით. სამაგიეროდ, მერე ყველანი სიამოვნებით ჩავალთ მოსკოვში სათამაშოდ.

● ***თქვენ გქონდათ ამ თემაზე საუბარი კოლოსკოვთან?***

— დიახ. ჯერ კიდევ შარშან ვუთხარი, რომ არ შეიძლება მატჩების ჩატარება საფარზე, რომელიც პირდაპირ ბეტონზეა დაგებული. ჩათვალეთ, რომ ასფალტზე თამაშობ. იმ ეპიზოდში, როდესაც გერასიმენკომ ტრავმა მიიღო, ორთაბრძოლა ან მოთამაშეთა შორის კონტაქტი არ ყოფილა. ფეხბურთელი უხარისხოდ დაგებული საფარის კიდეს წამოედო. ეს ხომ ყველამ დაინახეთ. აბა, წარმოიდგინეთ, რა მდგომარეობაშია ახლა ტრავმირებული მოთამაშე. რიგის „სკონტოს“ ფეხბურთელმაც მიიღო ტრავმა — ხელი მოსტყდა. კიევის „დინამოს“ რამდენიმე წევრმა კატეგორიული უარი განაცხადა მოსკოვში გამგზავრებაზე — იქიდან უტრავმოდ ვერ ჩამოვალთო. დღეს ფეხბურთელი ძალიან ძვირი ღირს და მათ ჯანმრთელობას უნდა გავუფრთხილდეთ.



სურკისი (მარცხნივ) და ლობანოვსკი

● ***თუ საფარი გამოიცვალა, ჩახვალთ გაისად „თანამეგობრობაზე“? ამის სურვილი თუ გაქვთ?***

— მხოლოდ ამ პირობის გათვალისწინებით ჩავალთ ტურნირზე. თუმცა, გვაქვს სხვა პრეტენზიაც — შესაცვლელია შეჯიბრების ჩატარების ფორმულა, რომელიც უკვე მოძველდა. საჭიროა ნოვაციები, რათა ყველა გუნდი თანაბარ პირობებში იმყოფებოდეს.

● ***რა ნოვაციებზეა ლაპარაკი?***

— ჯერ არ ვიცი, მაგრამ, როგორც მახსოვს, მოსკოვის „სპარტაკი“ წინასწარ ჯგუფში არასოდეს მოხვედრილა რიგის „სკონტოსთან“, ხოლო კიევის „დინამოს“ მეტოქე სულ ლატვიელები არიან. არა, მე არ ვამტკიცებ, რომ ეს წინასწარი გარიგებით ხდება, მაგრამ...

● ***თუ გაზონს განაახლებენ, ხოლო ტურნირის რეგლამენტი შეიცვალა, ჩახვალთ ტურნირზე? კიევის „დინამომ“ ამ შემთხვევაში ხომ უფლება დაკარგა ითამაშოს უმაღლეს ჯგუფში...***

— ამ შეკითხვაზე პასუხს ვერ გაგცემთ, სჯობს ტურნირის ორგანიზატორებს მიმართოთ. ისე, კოლოსკომა თავად განაცხადა, ოღონდ კიეველები მოსკოვში უძლიერესი შემადგენლობით ჩამოვიდნენ, ტურნირის რეგლამენტს შევცვლითო.

● ***რაც თქვენ ამ პრესკონფერენციაზე განაცხადეთ, ლობანოვსკის აზრიცაა?***

— ვალერი ვასილის ძემ ჯერ კიდევ 80-იან წლებში გაილაშქრა უხარისხო სინთეტიკური გაზონის წინააღმდეგ.

● ***მოსკოვშიც ამ მიზეზით არ წაჰყვა გუნდს?***

— ყველა ქვეყნის ფეხბურთში არის პრიორიტეტული მიმართულებები. უკრაინის ფეხბურთის მთავარი ამოცანაა ღირსეულად გამოვიდეთ 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში და მოვიპოვოთ იაპონია-კორეის თამაშების საგზური. ლობანოვსკი, როგორც იცით, მხოლოდ „დინამოს“ არ თავკაცობს, მის გამგებლობაშია უკრაინის ნაკრებიც. ამიტომ იგი კიევში დარჩა ნაკრების ფეხბურთელებთან სამუშაოდ.

მოამზადა
**ჯემალ ჯიაპაშვილმა**

# რუხაძე გურულის ნაკვალევს მიჰყვება

**კვიცი გვარზე ხტისო — თბილისის „დინამოს“ ვეტერანი მცველის ილია რუხაძის ვაჟი, 21 წლის თორნიკე მამამისივით სხარტი და საზრიანია. მან დიდი ხანია მიიქცია ფეხბურთის სპეციალისტების ყურადღება, აკი სულ უფრო ხშირად ვხედავთ თბილისის „დინამოსა“ და საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების შემადგენლობაში. ამას წინათ თორნიკე რუხაძემ მოწვევა მიიღო საფრანგეთის კლუბ „მონაკოდან“ — ჩამოდით, უნდა შეგამოწმოთო. თუ სინჯებმა წარმატებით ჩაიარა, რუხაძე იქნება მეორე ქართველი ფეხბურთელი, ვისაც საფრანგეთის ჩემპიონატში უთამაშია. პირველი კი იყო ექს-დინამოელი გია გურული, რომელიც 90-იანი წლების პირველ ნახევარში „ლე ჰავრში“ გამოდიოდა.**

# ტკივილის შეხსენება ფეხბურთით



«შევარდენი»

აფხაზეთის ომში მშვიდობიან მოსახლეობასთან ერთად, სამწუხაროდ და საუბედუროდ, ბავშვებიც დაიღუპნენ. ეს ტკივილი არა მხოლოდ დევნილებს, არამედ, სრულიად საქართველოს არ განელებია და არც არასდროს განელდება. ამ ტკივილის კიდევ ერთი შეხსენება იყო აფხაზეთში დაღუპულ ბავშვთა ხსოვნის ტურნირი, რომელიც საფეხბურთო კლუბ „ვაკე-91“-ის თაოსნობით ჩატარდა 10 გუნდის მონაწილეობით 1989 წელს დაბადებულთათვის. (მთ. მსაჯი მიხეილ აბეჩხრიშვილი, არბიტრი თამაზ ოდიშელიძე). ზოგიერთმა კლუბმა ორი გუნდიც კი გამოიყვანა. გაგაცნობთ მონაწილე კლუბებს: „ვაკე-91“ (მწვრთნელი მიხეილ აბეჩხრიშვილი), „კავკასიონი“ (როლანდ კიზირია), „შევარდენი“ (ვაჟა ხებეჯიშვილი), „ავაზა“ (გელა გელაშვილი), „ივერია“ (ვოვა სოზიაშვილი).

ფინალში „კავკასიონი-1“ შეხვდა „შევარდენს“ და გაიმარჯვა 2-0. მესამე ადგილისთვის ბრძოლაში „კავკასიონი-2“ გამოვიდა გამარჯვებული, მან „ავაზას“ სძლია 1-0. საინტერესოა, რომ შედგა სიმბოლური ნაკრები: ***მეკარეები:*** თ. ხუხუა („ვაკე-91“), პ. ოთარაშვილი, მცველები გ. ნათიძე, გ. ტიკურიშვილი (სამივე — „შევარდენი“), ***ნახევარმცველები:*** გ. ძაძამია, ლ. გურჩიანი (ორივე — „ავაზა“), შ. თოფურია, გ. გოგიჩაიშვილი, ვ. კეკელია, ***თავდამსხმელები:*** რ. ჯაშიაშვილი, ლ. შარიქაძე (ყველა — „კავკასიონი“), გ. გვაზავა („ვაკე-91“), მწვრთნელი ვ. სოზაშვილი. ნაკრები შეხვდა ჩემპიონს („კავკასიონ — 1“) და გაიმარჯვა 4-1.

საუკეთესო მეკარის პრიზი ერგო პ. ოთარაშვილს, მცველისა — გ. ნათაძეს, ნახევარმცველისა — გ. ტიკურიშვილს, თავდამსხმელისა — გ. გვაზავას, პერსპექტიული ფეხბურთელისა — გ. ძაძამიას და ლ. გურჩიანს. საუკეთესო მოთამაშისა — რეზო ჯაშიაშვილს, ბომბარდირისა — ლ. შარიქაძეს, ყველაზე უმცროსი მოთამაშისა — ლ. კემეხტაშვილს შ. თოფურიას (ორივე — „კავკასიონი“), ირაკლი ზაალიშვილს („ვაკე-91“), ყველაზე პერსპექტიული გუნდისა — („ვაკე-91“-ის მეორე გუნდი (1990-91 წ. დაბადებულნი). უნივერსალური ფეხბურთელის პრიზი გადაეცა დ. ხუხუას („ვაკე-91“), რომელმაც მეკარედაც ითამაშა და მცველადაც.



I ადგილი

# ბესიკ თევზაძის ხსოვნას მიუძღვნეს

ტრაგიკულად დაღუპულ ბესიკ თევზაძის ხსოვნის ტრადიციული ტურნირი 20 გუნდის მონაწილეობით, 1990 წელში დაბადებულთათვის, ამ დღეებში ჩატარდა გლდანის სპორტკომპლექსში. თბილისის „ოლიმპიკის“, „ვაკე-91“-ის, „ავაზას“, „მთვარის გლობუსის“, „ბერმუხას“, „სოლოლაკის“ და სხვათა გარდა, გუნდები მონაწილეობდნენ გორიდან (2) და მუხრანიდან. ინიციატორები იყვნენ „ბერმუხა“ და „სოლოლაკი“. ნახევარფინალში „ავაზამ“ დაამარცხა „ბერმუხა“ პენალტებით, „შევარდენმა“ მოუგო „ვაზისუბანს“. ფინალში „შევარდენი-1906“ (მწვრთნელი რევაზ წერეთელი) დაუპირისპირდა „ავაზას“ (რომან მელიქიძე) და გაიმარჯვა. მესამე ადგილზე გავიდა „ბერმუხა“ (ალექსანდრე ჩადუნელი), რომელმაც დაამარცხა „ბერმუხა“.

ტურნირის პრიზები გადაეცათ: საუკეთესო მოთამაშის – თორნიკე მინდიაშვილს („შევარდენი – 1906), საუკეთესო მეკარის – რადიონ გეგას („ბერმუხა“), ბომბარდირის – გიორგი ჭილიკაშვილს („ვაზისუბანი“). გამოირჩნენ პერსპექტიული ფეხბურთელები: ნოდარ ჯალაღონია, ბექა ჯიქია, გიორგი წიქარიშვილი, ოთარ მეუნარგია, პაატა ჭუმბურიძე...



II ადგილი

რობერტ ბაგოიანის ფოტოები



III ადგილი

# ჩემპიონატები, მატჩები, შედეგები...

## ესპანეთი
### პრიმერადივიზიონი. XXII ტური

რაიო – ოსასუნა 2-1
ბილბაო – რეალი 1-0
დეპორტივო – სოსიედადი 4-1
ესპანიოლი – სელტა 0-1
ვალენსია – ნუმანსია 3-0
ალავესი – სარაგოსა 1-0
ოვიედო – ვილიარეალი 1-3
ვალიადოლ.– ლას პალმასი 1-0
მალაგა – მალიორკა 0-1
რასინგი – ბარსელონა 4-0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეალი | 22 | 15 | 3 | 4 | 51-25 | 48 |
| დეპორტივო | 22 | 13 | 5 | 4 | 42-22 | 44 |
| ბარსელონა | 22 | 12 | 4 | 6 | 46-31 | 40 |
| ვალენსია | 22 | 11 | 6 | 5 | 34-16 | 39 |
| ვილიარეალი | 22 | 10 | 5 | 7 | 29-23 | 35 |
| მალიორკა | 22 | 9 | 8 | 5 | 31-29 | 35 |
| რაიო | 22 | 8 | 8 | 6 | 41-36 | 32 |
| ლას პალმასი | 22 | 9 | 4 | 9 | 24-37 | 31 |
| ესპანიოლი | 22 | 9 | 3 | 10 | 29-25 | 30 |
| ალავესი | 22 | 9 | 3 | 10 | 31-29 | 30 |
| ბილბაო | 22 | 8 | 6 | 8 | 30-34 | 30 |
| ვალიადოლ. | 22 | 6 | 11 | 5 | 25-25 | 29 |
| სარაგოსა | 22 | 6 | 9 | 7 | 30-30 | 28 |
| მალაგა | 22 | 8 | 4 | 10 | 33-34 | 28 |
| სელტა | 22 | 7 | 6 | 9 | 26-32 | 27 |
| ოვიედო | 22 | 8 | 3 | 11 | 27-37 | 27 |
| ნუმანსია | 22 | 5 | 5 | 12 | 20-36 | 20 |
| სოსიედადი | 22 | 4 | 6 | 12 | 24-46 | 18 |
| რასინგი | 22 | 4 | 5 | 13 | 26-39 | 17 |
| ოსასუნა | 22 | 3 | 8 | 11 | 22-35 | 17 |

## თურქეთი
### XX ტური

ტრაბზონი – სამსუნი 3-2
ადანა – იეთფა 0-2
ანკარა – ისთანბული 1-1
გაზიანთეფი – ქოჯაელი 0-0
გალათასარაი – ბურსა 2-1
ერზურუმი – დენიზლი 2-2
რიზე – ბეშიქთაში 5-1
ანთალია – იოზგათი 1-1
ფენერბახჩე – გენჩლერბირლ. 3-0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გალათასარაი | 20 | 14 | 3 | 3 | 44-16 | 45 |
| ფენერბახჩე | 20 | 14 | 3 | 3 | 50-23 | 45 |
| ბეშიქთაში | 20 | 12 | 4 | 4 | 43-32 | 40 |
| გაზიანთეფი | 20 | 10 | 7 | 3 | 4-25 | 37 |
| ტრაბზონი | 20 | 10 | 5 | 5 | 41-29 | 35 |
| გენჩლერბირ. | 20 | 10 | 3 | 7 | 27-26 | 33 |
| სამსუნი | 20 | 8 | 5 | 7 | 33-30 | 29 |
| დენიზლი | 20 | 7 | 7 | 6 | 27-31 | 28 |
| ისთანბული | 20 | 7 | 6 | 7 | 27-28 | 27 |
| ანკარა | 20 | 6 | 8 | 6 | 27-33 | 26 |
| რიზე | 20 | 7 | 4 | 9 | 27-22 | 25 |
| იოზგათი | 20 | 6 | 7 | 7 | 27-25 | 25 |
| ანთალია | 20 | 6 | 6 | 8 | 28-34 | 24 |
| ბურსა | 20 | 4 | 6 | 10 | 26-41 | 18 |
| ადანა | 20 | 2 | 8 | 10 | 29-41 | 14 |
| ქოჯაელი | 20 | 2 | 8 | 10 | 22-37 | 14 |
| ერზურუმი | 20 | 3 | 4 | 13 | 23-49 | 13 |
| იეთფა | 20 | 2 | 6 | 12 | 23-43 | 12 |

## პორტუგალია
### თასის 1/4 ფინალი

ბრაგანკა – პორტუ 1-2
ფერეირა – მარიტიმუ 1-2 (დ.დ.)
მორეირენსე – ბოავიშტა 1-2
ფამალიკაო – სპორტინგი (12.02)



ფრაიბურგი – ჰანზა 0-0. შეტევაზე ცქიტიშვილი

## იტალია
### სერია A. XVIII ტური

ლაციო – ატალანტა 0-0
ინტერი – რეჯინა 1-1
ბოლონია – რომა 1-2
ბრეშა – უდინეზე 3-1
ფიორენტინა – პარმა 0-1
იუვენტუსი – ნაპოლი 3-0
ლეჩე – პერუჯა 2-2
ვერონა –ბარი 3-2
ვიჩენცა – მილანი 2-0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რომა | 18 | 13 | 3 | 2 | 35-14 | 42 |
| იუვენტუსი | 18 | 10 | 6 | 2 | 32-15 | 36 |
| ლაციო | 18 | 10 | 4 | 4 | 33-20 | 34 |
| ატალანტა | 18 | 8 | 6 | 4 | 22-15 | 30 |
| მილანი | 18 | 7 | 6 | 5 | 27-26 | 27 |
| პერუჯა | 18 | 7 | 5 | 6 | 25-22 | 26 |
| პარმა | 18 | 7 | 5 | 6 | 21-18 | 26 |
| ფიორენტინა | 18 | 6 | 7 | 5 | 30-26 | 25 |
| უდინეზე | 18 | 8 | 1 | 9 | 31-30 | 25 |
| ინტერი | 18 | 6 | 7 | 5 | 21-20 | 25 |
| ბოლონია | 18 | 7 | 3 | 8 | 20-22 | 24 |
| ლეჩე | 18 | 5 | 7 | 6 | 23-29 | 22 |
| ბრეშა | 18 | 4 | 8 | 6 | 22-23 | 20 |
| ვიჩენცა | 18 | 5 | 4 | 9 | 19-29 | 19 |
| ვერონა | 18 | 4 | 6 | 8 | 21-31 | 18 |
| ნაპოლი | 18 | 4 | 5 | 9 | 20-30 | 17 |
| რეჯინა | 18 | 4 | 2 | 12 | 13-31 | 14 |
| ბარი | 18 | 3 | 3 | 12 | 16-31 | 12 |

## საბერძნეთი
### XVIII ტური

არისი – პანათინაიკოსი 1-0
ათინაიკოსი – პანაჰაიკი 3-1
ეთნიკოსი – აეკ 0-3
ქსანთი – იანინა 0-0
ოფი – პანილიაკოსი 2-2
ირაკლისი – კალამატა 1-0
იონიკოსი – ოლიმპიაკოსი 0-1
პანიონისი – პაოკი 1-1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპიაკოსი | 18 | 15 | 2 | 1 | 56-14 | 47 |
| პანათინაიკ. | 18 | 11 | 5 | 2 | 30-10 | 38 |
| აეკი | 18 | 11 | 3 | 4 | 37-24 | 36 |
| ირაკლისი | 18 | 10 | 3 | 5 | 27-18 | 33 |
| პაოკი | 18 | 9 | 6 | 3 | 41-29 | 33 |
| იონიკოსი | 18 | 8 | 6 | 4 | 28-23 | 30 |
| არისი | 18 | 8 | 4 | 6 | 21-19 | 28 |
| ქსანთი | 18 | 7 | 4 | 7 | 11-16 | 25 |
| ეთნიკოსი | 18 | 6 | 3 | 9 | 20-34 | 21 |
| პანიონისი | 18 | 4 | 9 | 5 | 18-21 | 21 |
| პანილიაკოსი | 18 | 3 | 7 | 8 | 15-26 | 16 |
| ათინაიკოსი | 18 | 4 | 3 | 11 | 25-38 | 15 |
| პანაჰაიკი | 18 | 3 | 5 | 10 | 21-32 | 14 |
| იანინა | 18 | 3 | 5 | 19 | 23-35 | 14 |
| ოფი | 18 | 2 | 6 | 10 | 19-35 | 12 |
| კალამატა | 18 | 1 | 7 | 10 | 21-38 | 10 |

## საფრანგეთი
### თასის 1/16 ფინალი

ლიონი – სენტ ეტიენი 1-1 (5-4 პენ)
ბორდო – ნანტი 0-1
ლევალოისი – ვასკუალი 0-1
კლერმონტი – სტრასბური 0-1
ლა როში – ლე მანი 1-3 (დ.დ.)
ამიენი – რენი 3-1
ბასტია – მეცი 4-1
კარკასონე – სეტი 2-1
შატორუ – მარსელი 1-0
ფონტენი – სედანი 1-0
პსჟ – ოსერი 0-4
სენსი – ტრუა 1-3
სტ. ომერი – ბრენოზლი 0-2 (დ.დ.)
ვალანსიენ – ბულონი 3-2 (დ.დ.)
ანჟერი – რეიმსი 0-0 (8-9 პენ.)
ვანნი – სენტ ჟორჟი 1-0

## ბელგია
### I დივიზიონი. XXII ტური

ლუვიე – ბრიუგე 1-1
ანდერლეხტი – ანტვერპენი 2-0
გენკი – ბევერენი 1-0
ლიერსი – შარლერუა 2-0
მუსკრონი – სტ. ტრუიდენი 1-0
გენტი – ვესტერლო 3-1
ლოკერენი – აალსტი 2-0
ბეერსხოტი – ჰარელბეკე 2-1
სტანდარდი – მეხელენი 2-0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ანდერლეხტი | 21 | 18 | 3 | 0 | 62-18 | 57 |
| ბრიუგე | 21 | 16 | 4 | 1 | 61-16 | 52 |
| სტანდარდი | 22 | 12 | 6 | 4 | 53-25 | 42 |
| გენტი | 21 | 12 | 5 | 4 | 42-39 | 41 |
| მუსკრონი | 22 | 11 | 4 | 7 | 45-30 | 37 |
| ვესტერლო | 21 | 11 | 4 | 6 | 41-31 | 37 |
| ბეერსხოტი | 22 | 11 | 2 | 9 | 40-32 | 35 |
| ლიერსი | 22 | 10 | 4 | 8 | 35-29 | 34 |
| ლოკერენი | 22 | 9 | 7 | 6 | 34-30 | 34 |
| შარლერუა | 22 | 10 | 3 | 9 | 36-40 | 33 |
| ბევერენი | 22 | 8 | 5 | 9 | 21-40 | 29 |
| გენკი | 22 | 7 | 6 | 9 | 27-32 | 27 |
| ანტვერპენი | 22 | 7 | 2 | 13 | 25-34 | 23 |
| აალსტი | 22 | 5 | 4 | 13 | 22-48 | 19 |
| ჰარელბეკე | 22 | 5 | 1 | 16 | 27-62 | 16 |
| სტ. ტრუიდ. | 22 | 3 | 4 | 15 | 20-41 | 13 |
| მეხელენი | 22 | 2 | 5 | 15 | 27-53 | 11 |
| ლუვიე | 22 | 1 | 7 | 14 | 15-44 | 10 |

## შოტლანდია
### XXVIII ტური

დანფერმლაინი – დანდი იუნ. 3-1
ჰიბერნიანი – სენტ მირენი 4-2
მოზერუელი – აბერდინი 0-1
სელტიკი – რეინჯერსი 1-0
სტ. ჯონსტ. – კილმარნოკი 1-2
დანდი – ჰართსი (გადაიდო)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სელტიკი | 26 | 22 | 3 | 1 | 70-21 | 69 |
| ჰიბერნიანი | 27 | 17 | 7 | 3 | 49-18 | 58 |
| რეინჯერსი | 26 | 18 | 3 | 5 | 53-25 | 57 |
| კილმარნოკი | 27 | 13 | 4 | 10 | 34-36 | 43 |
| ჰართსი | 27 | 10 | 6 | 11 | 38-40 | 36 |
| დანფერმლ. | 27 | 9 | 7 | 11 | 26-34 | 34 |
| მოზერუელი | 27 | 9 | 5 | 13 | 33-41 | 32 |
| სტ. ჯონსტ. | 27 | 7 | 10 | 10 | 27-38 | 31 |
| დანდი | 25 | 8 | 6 | 11 | 37-33 | 30 |
| აბერდინი | 25 | 5 | 9 | 11 | 25-40 | 24 |
| სტ. მირენი | 27 | 4 | 3 | 20 | 19-54 | 15 |
| დანდი იუნ. | 27 | 3 | 5 | 19 | 21-52 | 14 |



რასინგი – ბარსელონა 4-0



ლევერკუზენი – კიოლნი 4-1. უტევს არჩილ არველაძე

## ჰოლანდია
### I დივიზიონი. XXI ტური

ბრააფსხაპი – სპარტა 2-1
პსვ – ალკმაარი 3-0
როდა – როზენდალი 2-1
აიაქსი – ტილბურგი 1-1
უტრეხტი – ნაიმეგენი 1-1
ვალვაიკი – ვიტესი 3-0
ფეიენოორდი – გრონინგენი 1-0
ბრედა – ტვენტე (შეწყდა)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფეიენოორდი | 21 | 17 | 1 | 3 | 47-17 | 52 |
| პსვ | 21 | 15 | 5 | 1 | 45-12 | 50 |
| ვიტესი | 21 | 11 | 5 | 5 | 40-34 | 38 |
| აიაქსი | 20 | 11 | 4 | 5 | 49-26 | 37 |
| როდა | 20 | 10 | 3 | 7 | 37-27 | 33 |
| ვალვაიკი | 20 | 9 | 6 | 5 | 25-16 | 33 |
| ტილბურგი | 21 | 8 | 7 | 6 | 33-27 | 31 |
| ნაიმეგენი | 21 | 6 | 11 | 4 | 29-25 | 29 |
| უტრეხტი | 19 | 8 | 4 | 7 | 35-31 | 28 |
| ბრედა | 19 | 8 | 3 | 8 | 28-32 | 27 |
| ტვენტე | 19 | 6 | 6 | 7 | 31-34 | 24 |
| ალკმაარი | 20 | 6 | 5 | 9 | 28-38 | 23 |
| ჰერენვენი | 19 | 5 | 7 | 7 | 21-28 | 22 |
| გრონინგენი | 20 | 6 | 4 | 10 | 25-33 | 22 |
| გრააფსხაპი | 21 | 5 | 2 | 14 | 26-43 | 17 |
| სპარტა | 21 | 3 | 4 | 14 | 25-44 | 13 |
| როზენდალი | 21 | 4 | 1 | 16 | 27-58 | 13 |
| სიტარდი | 20 | 2 | 6 | 12 | 14-42 | 12 |

## ინგლისი
### პრემიერლიგა. XXVII

არსენალი – იფსვიჩი 1-0
ასტონ ვილა – მიდლსბრო 1-1
ჩელსი – მანჩესტერ იუნ. 1-1
ევერტონი – ლესტერი 2-1
მანჩ. სიტი – ტოტენჰემი 0-1
ლიდსი – დერბი 0-0
საუთჰემპტონი – ბრედფორდი 2-0
სანდერლენდი – ლივერპული 1-1
ჩარლტონი – ნიუკასლი 2-0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩესტ.იუნ. | 27 | 19 | 6 | 2 | 59-17 | 63 |
| არსენალი | 27 | 14 | 8 | 5 | 43-23 | 50 |
| ლივერპული | 26 | 13 | 6 | 7 | 47-28 | 45 |
| სანდერლენ. | 27 | 12 | 8 | 7 | 32-25 | 44 |
| ჩარლტონი | 27 | 11 | 7 | 9 | 36-38 | 40 |
| ლიდსი | 26 | 11 | 6 | 9 | 37-33 | 39 |
| ლესტერი | 26 | 11 | 6 | 9 | 27-29 | 39 |
| ჩელსი | 26 | 10 | 8 | 8 | 48-33 | 38 |
| ნიუკასლი | 26 | 11 | 4 | 11 | 32-37 | 37 |
| ტოტენჰემი | 27 | 9 | 9 | 9 | 31-34 | 36 |
| საუთჰემპტ. | 26 | 9 | 8 | 9 | 31-34 | 35 |
| ასტონ ვილა | 25 | 8 | 9 | 8 | 28-27 | 33 |
| ვესტ ჰემი | 25 | 7 | 10 | 8 | 32-30 | 31 |
| დერბი | 27 | 6 | 10 | 11 | 27-43 | 28 |
| მიდლსბრო | 27 | 5 | 12 | 10 | 31-34 | 27 |
| მანჩესტ.სიტი | 27 | 5 | 8 | 14 | 30-46 | 23 |
| ქოვენთრი | 26 | 5 | 6 | 15 | 23-45 | 21 |
| ბრედფორდი | 26 | 3 | 7 | 16 | 16-48 | 16 |

## გერმანია
### ბუნდესლიგა. XXI ტური

აინტრახტი – კოტბუსი 1-0
შალკე – მიუნხენი 2-0
კაიზერი – უნტერჰახინგი 4-0
ბაიერნი – შტუტგარტი 1-0
ჰერტა – ვოლფსბურგი 1-3
ჰამბურგი – ბოხუმი 3-0
ლევერკუზენი – კიოლნი 4-1
ფრაიბურგი – ჰანზა 0-0
დორტმუნდი – ვერდერი 0-0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაიერნი | 21 | 13 | 3 | 5 | 44-23 | 42 |
| შალკე | 21 | 12 | 4 | 5 | 42-23 | 40 |
| ლევერკუზ. | 21 | 12 | 4 | 5 | 38-23 | 40 |
| დორტმუნდი | 21 | 11 | 4 | 6 | 31-26 | 37 |
| ჰერტა | 21 | 11 | 1 | 9 | 43-39 | 34 |
| კაიზერი | 21 | 10 | 4 | 7 | 31-29 | 34 |
| ვოლფსბურგი | 21 | 8 | 7 | 6 | 40-28 | 31 |
| ფრაიბურგი | 21 | 8 | 7 | 6 | 28-21 | 31 |
| კიოლნი | 21 | 8 | 5 | 8 | 39-35 | 29 |
| ვერდერი | 21 | 7 | 7 | 7 | 28-30 | 28 |
| მიუნხენი | 21 | 7 | 6 | 8 | 25-35 | 27 |
| აინტრახტი | 21 | 8 | 2 | 11 | 26-36 | 26 |
| ჰამბურგი | 21 | 7 | 3 | 11 | 40-39 | 24 |
| კოტბუსი | 21 | 7 | 2 | 12 | 26-36 | 23 |
| ჰანზა | 21 | 6 | 4 | 11 | 19-33 | 22 |
| შტუტგარტი | 21 | 5 | 6 | 10 | 31-36 | 21 |
| უნტერჰახ. | 21 | 5 | 6 | 10 | 20-35 | 21 |
| ბოხუმი | 21 | 5 | 9 | 13 | 19-43 | 18 |

## ჩემპიონთა ლიგა
### მეორე ჯგუფური ტურნირი

**A ჯგუფი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩ. იუნ. | 2 | 2 | 0 | 0 | 5-1 | 6 |
| ვალენსია | 2 | 1 | 1 | 0 | 2-0 | 4 |
| პანათინაიკ. | 2 | 0 | 1 | 1 | 1-3 | 1 |
| შტურმი | 2 | 0 | 0 | 2 | 0-4 | 0 |

21.11 მანჩესტ. – პანათინაიკ. 3-1
შერინგემი 48, სქოულზი 81,90
21.11 ვალენსია – შტურმი 2-0
კერიუ 45, სანჩესი 47
03.12 პანათინაიკ. – ვალენსია 0-0
03.12 შტურმი – მანჩესტერი 0-2
სქოულზი 18, გიგზი 89
14.02 შტურმი — პანათინაიკოსი
14.02 ვალენსია — მანჩესტერი

**B ჯგუფი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გალათასარაი | 2 | 1 | 1 | 0 | 3-2 | 4 |
| მილანი | 2 | 1 | 1 | 0 | 3-2 | 4 |
| დეპორტივო | 2 | 1 | 0 | 1 | 3-2 | 3 |
| პსჟ | 2 | 0 | 0 | 2 | 1-4 | 0 |

21.11 მილანი – გალათასარაი 2-2
ხოსე მარი 47, შევჩენკო 73 პენ. — ქარდელი 39, ხასანი 41.
21.11 პსჟ-დეპორტივო 1-3
ალქერინო 37, ნეიბეტი 64, ფლორესი 70, მაკაი 90.
03.12 გალათასარაი – პსჟ 1-0
დავალი 51 პენ.
03.12 დეპორტივო – მილანი 0-1
ჰელვეგი 45
14.02 გალათასარაი – დეპორტივო
14.02 მილანი – პსჟ

**C ჯგუფი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაიერნი | 2 | 1 | 1 | 0 | 3-2 | 4 |
| ლიონი | 2 | 1 | 0 | 1 | 3-1 | 3 |
| სპარტაკი | 2 | 1 | 0 | 1 | 4-3 | 3 |
| არსენალი | 2 | 0 | 1 | 1 | 3-6 | 1 |

22.11 ბაიერნი – ლიონი 1-0
იერემისი 55
22.11 სპარტაკი – არსენალი 4-1
მარკაო 29,51, ტიტოვი 77, რობინსონი 82 — სილვინიო
02.12 ლიონი – სპარტაკი 3-0
მარლე 2, ანდერსონი 31,42
02-12 არსენალი – ბაიერნი 2-2
ანრი 4, კანუ 55 — ტარნატი 56, შოლი 66
13.02 ბაიერნი– სპარტაკი
13.02 ლიონი – არსენალი

**D ჯგუფი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეალი | 2 | 2 | 0 | 0 | 6-1 | 6 |
| ლიდსი | 2 | 1 | 0 | 1 | 1-2 | 3 |
| ანდერლეხტი | 2 | 1 | 0 | 1 | 2-4 | 3 |
| ლაციო | 2 | 0 | 0 | 2 | 0-2 | 0 |

21.11 ლიდსი – რეალი 0-2
იერო 66, რაული 68
21.11 ანდერლეხტი – ლაციო 1-0
რაძინსკი 85
02.12 რეალი-ანდერლეხტი 4-1
მორიენტესი 12, ფიგუ 23 პენ., ელგერა 44, რობერტო კარლოსი 73 — სტოიკა 89
02.12 ლაციო – ლიდსი 0-1
სმიტი 80
13.02 ლიდსი – ანდერლეხტი
13.02 რეალი – ლაციო

### ინტერნეტში ქალაქის საიტი გაიხსნება

უკრაინული გაზეთების ცნობით, დასრულდა მუშაობა ინტერნეტში კახი კალაძის საიტზე. იგი ოთხენოვანი იქნება – ქართულ, რუსულ, ინგლისურ და იტალიურ ენაზე.

## უეფას თასი
### UEFA CUP 1/8 ფინალი (15.02-22.02)

სლავია (ჩეხეთი) – კაიზერი (გერ.)
აეკი (საბერძნ.) – ბარსელონა (ესპ.)
ალავესი (ესპან.) – ინტერი (იტალია)
შტუტგარტი (გერმ.) – სელტა (ესპ.)
პორტუ (პორტ.) – ნანტი (საფრ.)
პსვ (ჰოლანდია) – პარმა (იტალია)
რაიო (ესპანეთი) – ბორდო (საფ.)
რომა (იტალია) – ლივერპული (ინგ.)

### ფერგიუსონი შერინგემის რეკლამას ეწევა

„მანჩესტერ იუნაიტედის“ მთავარი მწვრთნელი ალექს ფერგიუსონი ბრიტანული გაზეთებისთვის მიცემულ ინტერვიუებში რჩევას აძლევს ინგლისის ნაკრების თავკაცს სვენ-გორან ერიქსონს ყურადღება მიაქციოს „მანიუს“ ფორვარდ ტედი შერინგემს: „ტედიმ ამ სეზონში ყველაფერი გააკეთა, რათა ადგილი დაიმკვიდროს ქვეყნის პირველ გუნდში“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები



## ლალასი კვლავ პროფესიონალი გახდა

**90-იანი წლების ერთ-ერთმა ყველაზე ცნობილმა ამერიკელმა ფეხბურთელმა ალექსი ლალასმა გადაწყვიტა კვლავ დაუბრუნდეს პროფესიულ სარბიელს. აქამდე რამდენიმე ხანს ლალასი სამოყვარულო გუნდებში თამაშობდა, ახლა კი კონტრაქტს მოაწერა ხელი ცნობილ კლუბ „ლოს-ანჟელეს გელექსისთან“.**

კოლუმბიელებთან — 2-3. კლაუდიო სუარესმა ერთი გოლი გაიტანა და მეორე ადგილი დაატოვებინა ლოთარ მათეუსს, რომელსაც ნაკრებში 150 მატჩი აქვს ჩატარებული, პირველ ადგილზე კი ახლა ეგვიპტელი ჰოსამ ჰასანია — მასაც 151 მატჩი აქვს ჩატარებული.

### მარადონა თავის მემკვიდრედ თვლის

**როგორც დიეგო მარადონამ განაცხადა, „რივერ პლეიტის“ ნახევარმცველი, 21 წლის პაბლო აიმარი მისი ნამდვილი მემკვიდრეა ფეხბურთში. ახალგაზრდა ფეხბურთელი ახლა დიდი პოპულარობით სარგებლობს არგენტინაში. კლუბმა მაინც გადაწყვიტა ამ შესანიშნავი ოსტატის გაყიდვა. იგი 19,5 მილიონ დოლარად შეიძინა „ვალენსიამ“.**

### ფერანტე უნდა გამოადგეთ

მილანის „ინტერმა“ წლის ბოლომდე გააფორმა იჯარის ხელშეკრულება თავდამსხმელ მარკო ფერანტესთან. ფერანტე „ტორინოს“ საკუთრებაა, რომელიც ახლა „სერია B“-ში გამოდის, შარშან კი უმაღლეს ლიგაში თამაშობდა და 18 გოლი გაიტანა.

### მათეუსს კლაუდიო სუარესმაც გაასწრო

მექსიკის ნაკრების მცველმა, 32 წლის კლაუდიო სუარესმა ამ დღეებში ეროვნულ გუნდში 151-ე მატჩი ითამაშა. მატჩი მექსიკელებმა წააგეს

### როგორ „გაიაფდა“ მსოფლიო ჩემპიონი!

**ლონდონის „ჩელსიმ“ ასეთი წინადადებით მიმართა ფრანგულ „მონაკოს“. „ჩელსი“ დაუთმობს საფრანგეთის ჩემპიონს მცველ ფრანკ ლებეფს, თანხასაც დაუმატებს და იმედოვნებს მის ნაცვლად ამავე ამპლუის მცველ ფილიპ კრისტანვალის მიღებას.**

### ხელფასი გაუორმაგეს, ხელშეკრულება გაუგრძელეს

ბუნდესლიგის კლუბმა „შალკე-04“-მა, რომელსაც ახლა ჩემპიონობის პრეტენზია აქვს, გაუორმაგა ხელფასი დანიელ თავდამსხმელ ებე სანდს, რაც უჩვეულო მოვლენაა გერმანიისათვის, და, გარდა ამისა, კონტრაქტიც გაუგრძელა 2005 წლამდე.

### ეჰ, ჯანლუიჯი ლენტინი

**31 წლის ჯანლუიჯი ლენტინი ერთ დროს იტალიაში ყველაზე ძვირადღირებული ფეხბურთელი იყო, „მილანსა“, „ინტერსა“ და ქვეყნის ნაკრებში გამოდიოდა, ახლა კი „სერია B“-ს კლუბ „კოზენცაში“ თამაშობს.**

**რომ იტყვიან, საიდან სადაო...**



William HILL

| | დრო | 1 | X | 2 |
|---|---|---|---|---|
| **ჩემპიონთა ლიგა** | | | | |
| ბაიერნი — სპარტაკი | 13.02●23.45 | 1,44 | 3,60 | 6,50 |
| ოლიმპიკი — არსენალი | 13.02●23.45 | 2,37 | 3,10 | 2,62 |
| ლიდსი — ანდერლეხტი | 13.02●23.45 | 1,61 | 3,25 | 5,00 |
| რეალი — ლაციო | 13.02●23.45 | 1,80 | 3,30 | 3,75 |
| შტურმი — პანათინაიკოსი | 14.02●23.45 | 2,25 | 3,10 | 2,80 |
| ვალენსია — მანჩესტერი | 14.02●23.45 | 2,50 | 3,10 | 2.50 |
| მილანი — პსჟ | 14.02●23.45 | 1,40 | 3,60 | 7,50 |
| გალათასარაი — დეპორტივო | 14.02●23.45 | 2,20 | 3.00 | 3.00 |
| **უეფას თასი** | | | | |
| სლავია — კაიზერსლაუტერნი | 15.02●21.15 | 2,40 | 3,10 | 2,60 |
| ალავესი — ინტერი | 15.02●22.30 | 2,62 | 2,90 | 2,50 |
| პსვ — პარმა | 15,02●23.00 | 2,20 | 3,00 | 3,00 |
| შტუტგარტი — სელტა | 15,02●23.30 | 1,83 | 3,20 | 3,75 |
| აეკი — ბარსელონა | 15.02●23.30 | 3,30 | 3,10 | 2,00 |
| რაიო — ბორდო | 15.02●23,45 | 2,20 | 3,00 | 3,00 |
| რომა — ლივერპული | 15.02●24.00 | 1,61 | 3,25 | 5,00 |
| პორტო — ნანტი | 15.02●01.30 | 1,90 | 3,10 | 3,60 |
| **ინგლისის თასის IV რაუნდი** | | | | |
| უიმბლდონი — მიდლსბრო | 13.02●23,45 | 2,87 | 3,20 | 2,20 |
| **ინგლისის I დივიზიონი** | | | | |
| პორთსმუთი — ბოლტონი | 13.02●23.45 | 3,00 | 3,20 | 2,10 |
| შეფ. უენსდეი — ტრანმერი | 13.02●23.45 | 2,00 | 3,30 | 3,10 |
| სტოკპორტი — პრესტონი | 13.02●23,45 | 2,37 | 3,10 | 2,62 |
| **ინგლისის II დივიზიონი** | | | | |
| ბრისტოლი — რექსჰემი | 13.02●23,45 | 1,44 | 3,75 | 6,50 |
| ნოტს ქაუნთი — ლუტონი | 13.02●23,45 | 1,50 | 3,75 | 5,50 |
| **შოტლანდიის თასის III რაუნდი** | | | | |
| დანფერმლაინი — სტ. ჯონსტონი | 13.02●23.45 | 2,00 | 3,20 | 3,20 |



### სამი ჯილდო ერთ სეზონში

იაპონური კლუბი „კასიმა ანტლერსი“ ამ ქვეყნის პროფესიული ფეხბურთის ისტორიაში პირველი კლუბი გახდა, რომელიც ერთ სეზონში სამ ჯილდოს დაეუფლა.

### ამბები „ბარსელონიდან“

**„ბარსელონას“ ნახევარმცველმა ფილიპ კოკუმ კლუბთან ახალი ორწლიანი ხელშეკრულება გააფორმა. ამავე დროს „ბარსელონას“ მესვეურები აპირებენ მწვრთნელ ალბერტო ძაკერონის მიწვევას, რომელსაც ძალიან შეერყა პოზიციები „მილანში“.**

### არავითარი კუპერი, ტარდელი რჩება

მილანის „ინტერის“ ხელმძღვანელობამ ოფიციალურად გამოაცხადა, რომ ხმების მიუხედავად, მთავარ მწვრთნელად კვლავ რჩება მარკო ტარდელი. მის ნაცვლად „ვალენსიის“ ხელმძღვანელ ექტორ კუპერის მოწვევა, როგორც ზოგიერთი გაზეთი იუწყება, არაფრით არის დადასტურებული.

### ბრაზილიელი, რა თქმა უნდა, სხვაა...

**ფრანგულ „ლიონში“ ჩაირიცხა 23 წლის მცველი ჟეანი, რომელიც ადრე „ბაიაში“ თამაშობდა.**

**ბუნდესლიგის აუტსაიდერი „შტუტგარტი“ ხსნას ბრაზილიურ კლუბ „სან-კაეტანოს“ თავდამსხმელ ადემარში ეძებს, რომელშიც 1,2 მილიონი დოლარი გადაიხადა.**

### სურკისი: „ერის მარგალიტი“ ვიყიდეთ

კიევის „დინამოს“ საპატიო პრეზიდენტმა გრიგორი სურკისმა დიდი ალტაცებით ილაპარაკა კლუბის ორი ახალი შენაძენის, ორ ნახევარმცველ — ბულგარელ გეორგი პეევისა და უნგრელ ფლორინ ჩერნატზე.

— კარგა ხანია არა გვყოლია მაღალი კლასის მარჯვენა ნახევარმცველი. ახლა პეევი ამ ნაკლს ნამდვილად გამოასწორებს. მას შესანიშნავი დრიბლინგიც აქვს და დიდი სისწრაფეც. რაც შეეხება ჩერნატს, მას „ერის მარგალიტს“ უწოდებენ და თამაშის სტილით გეორგე ჰაჯისაც კი ადარებენ.

### ეტყობა, არგენტინაში ბრუნდება

**საფრანგეთის უმაღლესი დივიზიონის კლუბ „სტრასბურის“ განთქმული მეკარე ხოსე ლუის ჩილავერტი, სულ მოკლე ხანში შეიძლება არგენტინაში დაბრუნდეს. მას ძალიან არ მოსწონს, რომ ფრანგულ კლუბში რატომღაც სათადარიგო მოთამაშედ ითვლება, ორჯერ უარი განაცხადა სათადარიგოთა სკამზე, რისთვისაც დიდი ფულადი თანხით დააჯარიმეს. ახლა მიმდინარეობს მოლაპარაკება ჩილავერტის ბუენოს-აირესის „ბოკა-ხუნიორსში“ გადასასვლელად. „ბოკას“ მეკარე ოსკარ კორდობა კი შეიძლება სულ მალე „ასტონ ვილაში“ აღმოჩნდეს.**

### „ვალენსიამ“ კუპერს მოსაფიქრებლად ათი დღე მისცა

ამჟამად „ვალენსიაში“ ნერვიული სიტუაციაა — არადა, ჩემპიონთა ლიგა საცაა განახლდება! საქმე იმაშია, რომ კლუბის მესვეურებს ყურში ამოუვიდათ ამდენი მითქმა-მოთქმა, რომელიც გუნდის მთავარ მწვრთნელ, არგენტინელ ჰექტორ კუპერის გარშემოა ატეხილი. მას უთხრეს — 10 დღეს გაძლევთ მოსაფიქრებლად, ან მოქმედი კონტრაქტი გავაგრძელოთ, ან სეზონის ბოლოს მეგობრულად დავშორდეთ.

### საპატიო წოდება – „წლის ფიგურა“

წლის ფეხბურთელმა ლუიშ ფიგუმ თავის სამშობლოში, პორტუგალიაში მიიღო „წლის ფიგურის“ საპატიო წოდება. ფიგუ არაერთი კონკურსის შედეგად აღიარეს უძლიერესად, მათ შორის ბუნდესლიგის მოთამაშეების გამოკითხვის შემდეგაც, თუმცა მათ ფიგუსთან რაიმე კავშირი არა ჰქონიათ.

### „სპორტული დიდების დარბაზი“

**იტალიაში გადაწყვიტეს „სპორტული დიდების დარბაზის“ შექმნა, სადაც წარმოდგენილი იქნებიან ყველაზე უფრო ცნობილი ფეხბურთელები და მწვრთნელები. პირველ ლაურეატებს შორის არიან ვიტორიო პოცო, ფერუჩიო ვილკარეჯი და ენცო ბეარზოტი.**

### ჟულიო სესარი – „რეალ სოსიედადში“

ცნობილი ბრაზილიელი მცველი ჟულიო სესარი მადრიდის „რეალის“ საკუთრებად ითვლება, მაგრამ იჯარის უფლებით „მილანში“ გადავიდა. ახლა იგი ესპანეთში ბრუნდება, სადაც ერთ-ერთ აუტსაიდერს, სან-სებასტიანის „რეალ სოსიედადს“ გააძლიერებს.

### პსჟ ექსპლოატაციას უწევს „ბრაზილიურ ბაზარს“

**ფრანგულმა „პარი სენ-ჟერმენმა“ ხუთწლიან ხელშეკრულებას მოაწერა ხელი 20 წლის თავდამსხმელ რონალდინიოსთან, რომელიც რამდენადმე ჩამოჰგავს თავის სახელოვან სეხნიას.**

**რონალდინიო, რომლის სრული სახელი და გვარია რონალდო დე ასის მორეირა, ზაფხულამდე „გრემიოში“ იქნება და შემდეგ შეუერთდება პარიზულ კლუბს. საერთაშორისო სახელი მან 1997 წელს მოიპოვა, როცა ეგვიპტეში მსოფლიო ჩემპიონობა მოიპოვა 17 წლიანთა შორის. 1999 წელს დებიუტი ჰქონდა ბრაზილიის ნაკრებში ლატვიელთა წინააღმდეგ. ულამაზესი გოლი გაიტანა ამერიკის თასზე ვენესუელის ნაკრებთან, რისთვისაც გარინჩასაც კი შეადარეს, მონაწილეობდა ოლიმპიადაზე სიდნეიში.**

**„პსჟ“-ში რონალდინიო შემტევ წყვილს ანელკასთან შეადგენს.**

### თურქეთმა „სპარტაკს“ დახმარება შესთავაზა.

*ჯერი უეფაზეა*

**როგორც ცნობილია, 21 თებერვალს ჩემპიონთა ლიგის მატჩში მოსკოვის „სპარტაკმა“ მიუნხენის „ბაიერნს“ უნდა უმასპინძლოს. რუსებს სურთ ეს შეხვედრა მოსკოვში „ლუჟნიკების“ სტადიონზე ჩატარდეს, მაგრამ მკაცრი ზამთრის პირობებში ეს ძნელი იქნება. არის სხვა ვარიანტებიც — ეს მატჩი ჩატარდეს კვიპროსზე ან ტულის „არსენალის“ სტადიონზე. ამასთან, მოვიდა ცნობა, რომ „სპარტაკს“ მასპინძლობა შესთავაზა თურქულმა კლუბმა „ანტალიამ“. თუ სად ჩატარდება „სპარტაკი“ — „ბაიერნის“ მატჩი, საბოლოო გადაწყვეტილებას 16 თებერვალს მიიღებს უეფა.**

### შოლი საუკეთესოა

გერმანიის ეროვნული ნაკრებისა და მიუნხენის „ბაიერნის“ ნახევარმცველი მეხმედ შოლი დასახელებულია 2000 წლის რჩეულ ფეხბურთელად. გამოკითხვა ჩატარდა გერმანელ პროფესიონალ მოთამაშეთა შორის. 662 ბიულეტენიდან შოლმა 151 ხმა მიიღო. მეორე და მესამე ადგილებზე გავიდნენ ლევერკუზენის „ბაიერის“ ფეხბურთელები — ნახევარმცველი მიხაელ ბალაკი (139 ხმა) და მცველი იენს ნოვოტნი (75). აღსანიშნავია, რომ გამოკითხვაში გამარჯვებულმა შოლმა შარშან დიდი წვლილი შეიტანა მიუნხენელთა გუნდის წარმატებაში („ბაიერნი“ ბუნდესლიგის ჩემპიონი გახდა), გარდა ამისა, ევრო-2000-ზე გერმანიის ნაკრების ფიასკოს შემდეგ თანაგუნდელთაგან მას ყველაზე ნაკლებად აკრიტიკებდნენ.

### ვენეიბლზი – თვის მწვრთნელი

**„მიდლსბროს“ ახალი დამრიგებელი ტერი ვენეიბლზი დასახელებულია ინგლისის პრემიერლიგის 2001 წლის იანვრის საუკეთესო მწვრთნელად. მან გათამაშების მსვლელობისას სწრაფად მოახერხა გუნდის თამაშის რეორგანიზაცია, ისე რომ, უიმედო აუტსაიდერიდან „მიდლსბრომ“ სატურნირო ცხრილის შუაგულისკენ გადაინაცვლა. იანვარში გუნდმა წაუგებლად იასპარეზა (ფრე „ლიდსთან“, „ლივერპულთან“, „ევერტონთან“, მოგება „დერბისთან“).**

**დასახელებულია იანვრის თვის რჩეული ფეხბურთელიც. იგი გახდა „ლიდსის“ დებიუტანტი, ფორვარდი რობი კინი, რომელმაც ინგლისში დაბრუნების შემდეგ 5 გოლი გაიტანა.**

## მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი

2002 FIFA WORLD CUP KOREA JAPAN

### აზია

**IV ჯგუფი**

ყირგიზეთი – ქუვეითი 0-3

სინგაპური – ბაჰრეინი 1-2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ქუვეითი | 3 | 2 | 1 | 0 | 6-2 | 7 |
| ბაჰრეინი | 3 | 2 | 0 | 1 | 4-3 | 6 |
| ყირგიზეთი | 3 | 1 | 0 | 2 | 1-4 | 3 |
| სინგაპური | 3 | 0 | 1 | 2 | 2-4 | 1 |

**X ჯგუფი**

მონღოლეთი – ვიეტნამი 0-1

ბანგლადეში – საუდ. არაბეთი 0-3

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ს. არაბეთი | 2 | 2 | 0 | 0 | 9-0 | 6 |
| ვიეტნამი | 2 | 1 | 1 | 0 | 1-0 | 4 |
| ბანგლადეში | 2 | 0 | 1 | 1 | 0-3 | 1 |
| მონღოლეთი | 2 | 0 | 0 | 2 | 0-7 | 0 |



სინგაპური – ბაჰრეინი 1-2

### აფრიკა

#### კონგო მსოფლიო ჩემპიონატს ჩამოშორდა

მას შემდეგ, რაც პირველი ორი მატჩი წააგო, კონგოს ნაკრები მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირს ჩამოშორდა. კონგომ ჯერ ტუნისთან დათმო შეხვედრა 0-2, შემდეგ კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკასთან — 1-2. ამის შემდეგ კონგოს ფეხბურთის ფედერაციის მესვეურებმა გუნდი შესარჩევი ტურნირიდან მოხსნეს და გადაწყვიტეს მთელი ყურადღება გაამახვილონ 2002 წლის აფრიკის თასის გათამაშებაზე (ეს ასპარეზობა მალიში გაიმართება).

რაც შეეხება მონდიალის შესარჩევ ტურნირს, ამ ჯგუფში ტუნისის ნაკრები ლიდერობს — 7 ქულა სამი შეხვედრის შემდეგ.

#### ფიფა გასამრჯელოს ანესებს

როგორც ცნობილია, წელს, სახელდობრ, 29 ივლისიდან 12 აგვისტოს ჩათვლით ესპანეთში გაიმართება მეორე მსოფლიო ჩემპიონატი საკლუბო გუნდებს შორის. ფიფამ გამოაცხადა, რომ გამარჯვებული 8 მილიონს, ხოლო ფინალისტი – 5 მილიონ დოლარს მიიღებს. მესამე და მეოთხე ადგილზე გასულ გუნდებს, გადაეცემათ შესაბამისად 3,8 და 2,7 მილიონი. დარჩენილი თანხა (20,5 მლნ.) გაიყოფა ჩემპიონატის სხვა მონაწილეებზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სპორტული პლანეტა

## ნბა:

### ვარსკვლავთა ბრძოლაში აღმოსავლეთმა იმძლავრა



კვირას ვაშინგტონში ნბა-ს ვარსკვლავთა ტრადიციული მატჩი გაიმართა. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო მეოთხედის დამთავრებამდე 9 წუთით ადრე აღმოსავლეთის კონფერენციის ნაკრები დასავლეთთან 21 ქულას აგებდა (74:95), გამარჯვება მას დარჩა 111:110.

ყველაზე სასარგებლო მოთამაშედ აღიარებულია „ფილადელფიისა“ და აღმოსავლეთის გუნდის თავდამსხმელი ალენ აივერსონი.

*სურათზე: უტევს ალან აივერსონი (№3).*

### „კლივლენდი“ – ბოლო დღეების ყველაზე „ცხელი“ გუნდი

ამერიკული საკალათბურთო ასოციაციის გათამაშებაში „კლივლენდ კავალიერსმა“ მიიღო ბოლო დღეების ყველაზე „ცხელი“ გუნდის სტატუსი. ეს ერთობ მოულოდნელია, ვინაიდან ამ კოლექტივმა სეზონი ზედიზედ ოთხი მარცხით დაიწყო. ახლა კი კავალერისტები ცენტრალური დივიზიონის ცხრილში მეორე ადგილზეა. სპეციალისტების აზრით, გუნდის შემადგენლობა დღეისათვის იმდენად სტაბილურია, რომ მას ძალა შესწევს ამ ქვეჯგუფში გამარჯვებულიც კი გამოვიდეს.

„კლივლენდის“ დღევანდელი გუნდის ჩამოყალიბება დაიწყო 1991 წლის შემდეგ, როდესაც ეს კლუბი მეტოქეობას უწევდა თვით „ჩიკაგოს“. მაშინ მთავარ მწვრთნელად ლენი უილკენსი მუშაობდა. მისმა შეგირდებმა სახელი გაითქვეს იმით, რომ თანასწორად ეთამაშებოდნენ მაიკლ ჯორდანსა და მის თანაგუნდელებს. იმ წლებში ტრადიციად იქცა, რომ აღმოსავლეთის კონფერენციის ფინალში სწორედ ეს მეტოქეები ხვდებოდნენ ერთმანეთს. მერე დრო შეიცვალა, „კლივლენდი“ მიზეზთა გამო ბევრმა გამოცდილმა ვარსკვლავმა დატოვა, დარჩა მხოლოდ მარკ პრაისი, მაგრამ ახალი მწვრთნელის მაიკ ფრატელის ხელში მანაც დაკარგა თამაშის ხალისი.

ასე იყო, სანამ „კლივლენდში“ არ მიიწვიეს ახალი დამრიგებელი — რენდი უიტმენი. მან უარყო გუნდის დაცვითი სტილი და აგრესიულ თამაშზე გადაიტანა აქცენტი. ამან შედეგი გამოიღო: ჩაგდებული ბურთების რაოდენობით გუნდმა 25-ე პოზიციიდან 10 ადგილით წინ გადმოიწია. „კლივლენდის“ ლიდერებია ანდრე მილერი და ჟიდრუნას იგლაუსკასი.

**ველოსპორტი**

### სეზონის ლიდერმა შინ წააგო

ბელგიელმა ველომრბოლმა ბარტ ველესმა მოიგო „სუპერპრესტიჟი-2001“-ის ბოლო, მერვე ეტაპი. ფინიშის სწორზე, მან გაუსწრო სეზონის ლიდერს, ჰოლანდიელ რიხარდ გრენდალს. მიუხედავად ამისა, გრენდალმა გაინაღდა საერთო ჩათვლაში გამარჯვება.

## მოკლედ...

● **გუშინ ფორმულა 1-ის ცნობილი მრბოლი, მსოფლიო სამგზის ჩემპიონი მიხაელ შუმახერი (უფროსი) მშობლიურ ქალაქ კერპენში გაემგზავრა, სადაც მონაწილეობას მიიღებს მისი სახელობის ქუჩის გახსნის საზეიმო ცერემონიალში.**

● **ცნობილი** ამერიკელი პროფესიონალი მოკრივე რიდიკ ბოუ გირაოთი გამოუშვეს ციხიდან, სადაც ის სასჯელს იხდიდა მეუღლის ცემის მცდელობისთვის.

● **69 წლის ასაკში გარდაიცვალა ესპანეთის პროფესიული ფეხბურთის ეროვნული ლიგის პრეზიდენტი ანტონის ბარო.**

● **მძლეოსნობა.** გერმანელმა დენი ეკერმა ჭოკით სიმაღლეზე ხტომაში ჰერქვეშ მძლეოსანთა ტურნირზე დორტმუნდში, 6 მ. სიმაღლე დაძლია და მეათე ათლეტი გახდა, რომელმაც ეს სიმაღლე აიღო.

● **მძიმე ავადმყოფობის შემდეგ 34 წლისა გარდაიცვალა ჩრდილო ოსეთის თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა ნაკრების უფროსი მწვრთნელი, რუსეთის დამსახურებული მწვრთნელი, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, ევროპის პრიზიორი, აზიური თამაშების გამარჯვებული, რუსეთის ჩემპიონი ოლეგ ნანიევი.**

**ჩოგბურთი** დევისის თასი. 1/8 ფინალი

### რუსები კაფელნიკოვმა იხსნა, აკი უწოდა კიდევაც მას ტარპიშჩევმა პროფესორი. ესპანელების ფიასკო

დახედეთ ფოტოს. ასე შეეგებნენ რუსეთის საჩოგბურთო დელეგაციის წევრები ევგენი კაფელნიკოვის წარმატებას სლოვაკ კაროლ კუჩერაზე. ხუთსაათიანმა ორთაბრძოლამ სტუმრებს ესოდენ საჭირო გადამწყვეტი ქულა აალებინა და საერთო ანგარიშით გაიმარჯვეს კიდეც 3:2 — კუჩერამ დაამარცხა საფინი, კაფელნიკოვმა — ხრბატი, საფინ-კაფელნიკოვის წყვილმა სძლია კროსლიაკ-ხრბატის. მატჩის ბოლო დღეს ხრბატიმ სძლია საფინს



და, როგორც ზევით აღვნიშნეთ, კაფელნიკოვმა — კუჩერას. რუსეთელმა გუნდის კაპიტანმა შამილ ტარპიშჩევმა აღფრთოვანება გამოხატა კაფელნიკოვის თამაშით: იგი ჩოგბურთის პროფესორია. აღფრთოვანებული ვარ მისი თავდადებული და რაციონალური თამაშით — არავითარი ზედმეტი, ზუსტად იმდენი, რამდენიც საჭიროა. ის, რაც ევგენიმ ბრატისლავაში გვიჩვენა, მსოფლიოს პირველი ჩოგანის ოსტატობას უტოლდება“.

### მსოფლიოს ჯგუფი

***ჰოლანდია — ესპანეთი 4:1.*** მოა, ბალსელსი, კორეჩა — ეს ის ჩოგბურთელებია, რომლებიც ნებისმიერ ნაკრებს მოუგებენ, თუკი ისინი მთელი შემართებით იბრძოლებენ, მაგრამ, ეტყობა, ისინი შედარებით სუსტ მეტოქესთან საბრძოლველად ვერ განეწყვნენ და სენსაციური მარცხი იწვნიეს.

*სხვა მატჩები:* ავსტრალია — ეკვადორი 4:1, ბრაზილია — მაროკო 4:1, ბელგია — საფრანგეთი 0:5, შვეიცარია — აშშ 3:1, გერმანია — რუმინეთი 3:2, შვედეთი — ჩეხეთი 3:2.

ამრიგად, 1/4 ფინალში ერთმანეთს ხვდებიან: ***ბრაზილია — ავსტრალია, შვედეთი — რუსეთი, შვეიცარია — საფრანგეთი, ჰოლანდია — გერმანია.***

**ევრო-აფრიკული ზონა**

**ჯგუფი** 1. 1/8 ფინალი. პორტუგალია — უკრაინა 2:1

**აზია-ოკეანიის ზონა**

**ჯგუფი** 1. 1/4 ფინალი. ინდონეზია — უზბეკეთი 1:2.

**უნივერსიადა-2001**

### ლიდერობს იტალიელი ფონტანა

პოლონეთში მიმდინარეობს ზამთრის უნივერსიადა-2001-ის თამაშები. ერთ-ერთი პირველნი ასპარეზობაში ჩაერთვნენ ფიგურული მოციგურავეები. იტალიელმა ქალმა სილვია ფონტანამ მოიგო მოკლე პროგრამა ერთეულთა ტურნირში. ფონტანას კვალდაკვალ მიჰყვება რუსეთელი ირინა ტკაჩუკი.



*სურათზე: ირინა ტკაჩუკი*

### ჩემპიონატმა „ოლიმპიური იმედი“ დაასახელა

*(მეორე გვერდიდან)*

(აჭარა); ***58 კგ.:*** 1. ზვიად გვილავა (თბილისი), 2. ვალერი კოღუაშვილი (ქუთაისი), 3. გიორგი გაგიშვილი (გორი); ***63 კგ:*** 1. ოთარ თუშიშვილი (გორი), 2. გიორგი ხარებავა (აფხაზეთი), 3. შალვა მუზიაშვილი (გორი); ***69 კგ:*** 1. დავით ლეჟავა (თბილისი), 2. გელა საღირაშვილი (თბილისი), 3. გია იანტბელიძე (თბილისი); ***76 კგ:*** 1. რევაზ მინდორაშვილი (გურჯაანი), 2. მიხეილ ჩიქოვანი (თბილისი), 3. გიორგი გობეჯიშვილი (თბილისი); ***85 კგ:*** 1. გოჩა ჩიხრაძე (გორი), 2. მალხაზ ჯორბენაძე (თბილისი) 3. ზვიად ბიძიშვილი (თბილისი); ***97 კგ:*** 1. ელდარ კურტანიძე (აფხაზეთი), 2. მიხეილ ტურაშვილი (თბილისი), 3. ზვიად სისაური (თბილისი); ***130 კგ:*** 1. ლექსო მოდებაძე (თბილისი), 2. შოთა სპანდერაშვილი (თბილისი), 3. ლევან ვაჭარაძე (თბილისი).

**ფეხბურთის ამბები**

### „ეს ისტორიული შეცდომა იყო“

„ბარსელონას“ მწვრთნელთა შტაბის წევრმა რონალდ კუმანმა, კატალონიური სპორტული გაზეთისათვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ ლუიშ ფიგუს მადრიდის „რეალში“ გადასვლა „ბარსელონის“ ისტორიული შეცდომა იყო.

– ყველაზე უარესი აქ ისაა, რომ არა მარტო დავასუსტეთ საკუთარი შემადგენლობა, არამედ საშუალება მივეცით ჩვენს მთავარ მეტოქეს კიდევ უფრო გაძლიერებულიყო, ვიდრე იყო.

კუმანს, თითქოს, დღემდე არ სჯერა, რომ ფიგუ უკვე სხვა გუნდშია. „სასტიკად არ მსიამოვნებს, რომ მას თეთრ ფორმაში ვხედავ და არა ჩვენს ცისფერ ძოწეულში. იგი „ბარსელონასათვის“ თავდაუზოგავად თამაშობდა, ვარჯიშებზეც კი ბოლომდე იხარჯებოდა. იგი არავითარ შემთხვევაში სხვისთვის არ უნდა დაგვეთმო.

### ანრი დაღლილობას უჩივის

**საფრანგეთის ნაკრებისა და ლონდონის „არსენალის“ ცნობილი თავდამსხმელი ტიერი ანრი ფიქრობს, რომ ხანგრძლივი და უაღრესად გადატვირთული ინგლისური საფეხბურთო სეზონი მეტად უარყოფითად მოქმედებს მის მზადყოფნაზე. ამის შედეგები კი სულ მალე უნდა გამოჩნდეს.**

**— ევროპის 2000 წლის ჩემპიონატის შემდეგ საერთოდ არ დამისვენია, თავს სულ დაღლილად ვგრძნობ. გარდა ამისა, ევროპის ჩემპიონატის გამო, ამ სეზონისათვის ისე ვერ მოვემზადე, როგორც საჭირო იყო. რაც მეტს ვთამაშობ, თავს უფრო გადაღლილად, გადაქანცულად ვგრძნობ. „არსენალში“ მთელ სეზონში სულ 3 მატჩი გამოვტოვე. იმ 3-4 თვის მანძილზე, როცა „არსენალი“ ჩემპიონთა ლიგის მატჩებს ატარებდა, ყოველ სამ დღეში ერთხელ მიხდებოდა თამაში. ამას დავუმატოთ საფრანგეთის ნაკრებში გამოსვლებიც და ცხადი გახდება, რა დღეში ვარ. რა თქმა უნდა, თამაში მინდა, მაგრამ ეს, როგორც ჩანს, იოლი არ არის.**

**22 წლის ტიერი ანრი, რომელმაც ყოველივე ამის მიუხედავად, ინგლისის ჩემპიონატში 14 გოლი გაიტანა, შიშობს, რომ შეიძლება „არსენალის“ ძირითად შემადგენლობაში ადგილი დაკარგოს.**

**— ძალიან მეშინია ტრავმებისა. „არსენალს“ იმდენი კარგი ფეხბურთელი ჰყავს, რომ ერთი ფიქრი არ მასვენებს. საკმარისია ერთხელ მაინც დავკარგო ადგილი ძირითად შემადგენლობაში, რომ შემდეგ ძალიან გამიჭირდება იქ დაბრუნება.**

### გადათამაშება არ შედგება

საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტმა გააუქმა გადაწყვეტილება „მეცისა“ და „სტრასბურის“ ეროვნული პირველობის მატჩის გადათამაშების შესახებ. ეს შეხვედრა იმის შემდეგ შეწყდა, რაც ვილაც ვაიგულშემატკივარმა ტრიბუნიდან პეტარდა მოარტყა თანამსაჯს.

ახლა მიღებულია გადაწყვეტილება — ცხრილში შეიტანონ ანგარიში 0-0, ამასთან, არც ერთი გუნდი ქულებს არ მიიღებს. „მონაკოს“ ჩამოაკლდა ორი ქულა იმის გამო, რომ მის რიგებში ყალბი პასპორტით ითამაშა ჩილელმა პაბლო კონტრერასმა.

# მაია ლომინეიშვილის პირველი „აფრიკული" პრიზი

გერმანული ჟურნალი „როხადე" ვრცელ მასალას უძღვნის სტუდენტთა შორის მსოფლიო ჩემპიონს, 23 წლის დიდოსტატ მაია ლომინეიშვილს, რომელმაც ჩინებულად ითამაშა ტუნისის დიდი საერთაშორისო ტურნირში ვაჟთა შორის – მე-2-5 ადგილები გაიყო.

მაია ლომინეიშვილი ტუნისში სათამაშოდ მიიწვია ცნობილმა დიდოსტატმა სლიმ ბოაზიზმა, რასაც ქართველი მოჭადრაკე სიამოვნებით გამოეხმაურა.

მაია, ცნობილ მწვრთნელ გიორგი მაჭარაშვილის მოწაფე, ქალთა შორის საერთაშორისო დიდოსტატი გახდა 1996 წელს, მას შემდეგ, რაც მოსკოვში ვაჟთა შეჯიბრებაში მესამედ შეასრულა ამ წოდებისთვის საჭირო ქულათა ნორმა.

ჟურნალისტის კითხვაზე, როგორ გამოიყურება ამჟამად საქართველოს ქალთა ნაკრები, მაიამ უპასუხა, რომ ეს გუნდი ძლიერია და მომავალ ოლიმპიადაზე წარმატების კარგი შესაძლებლობები აქვს. თვით მაია ლომინეიშვილი იმედოვნებს, რომ ითამაშებს ამ შეჯიბრებაზე. მანამდე კი მას რამდენიმე საერთაშორისო ტურნირში მოელის თამაში, მონაწილეობა ბუნდესლიგის ჩემპიონატში, ხანგრძლივ დროს გაატარებს გერმანიაში, სადაც ცხოვრობს მისი მწვრთნელის გიორგი მაჭარაშვილის კიდევ ერთი მოწაფე ქეთევან კახიანი, რომელიც მაჭარაშვილს ხშირად იწვევს საერთაშორისო ტურნირებისათვის მოსამზადებლად. თვით მაია ლომინეიშვილი კლუბ „კარლსრუეს შახ ფროინდენის" პირველ დაფაზე გამოდის.

# გვეტაძე და იზორია

დამთავრდა საქართველოს მოზარდ მოჭადრაკეთა ჩემპიონატები, რომელთა ასაკი 18 წელს არ აღემატება. ისინი შვეიცარიული სისტემით ჩატარდა, 9 ტურად. გამარჯვებულები ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებში მიიღებენ მონაწილეობას.

ჭაბუკთა შორის ერთს, ხონელ ზვიად იზორიას საერთაშორისო ოსტატის წოდება აქვს და თავისი ასაკისათვის სერიოზული სატურნირო გამოცდილებაც. მან ახლაც სრულიად დამაჯერებლად მოიპოვა საქართველოს ჩემპიონობა, 9 შესაძლებლიდან 7,5 ქულა მოაგროვა. 6,5-6,5 ქულით დაასრულეს შეჯიბრება მერაბ გაგუნაშვილმა (თბილისი ) და გიორგი ფარესიშვილმა (დუშეთი). უკეთესი დამატებითი მონაცემების გამო მეორე ადგილი გაგუნაშვილს ერგო.

გოგონათა ტურნირი კვალიფიკაციური შემადგენლობით ჭაბუკებისას აღემატებოდა. აქ რამდენიმე საერთაშორისო ოსტატი თამაშობდა, მათ შორის ქალთა მსოფლიო პირველობის მონაწილე ლელა ჯავახიშვილი (თელავი). ყველაზე კარგად გამოვიდა თბილისელი სოფიო გვეტაძე, რომელმაც 7,5 ქულით დაიკავა პირველი ადგილი და საქართველოს ჩემპიონი გახდა. მეორე ადგილზეა (7 ქულა) ქუთაისელი საერთაშორისო ოსტატი ინგა ჭარხალაშვილი, მესამეზე (6,5 ქულა) – ლელა ჯავახიშვილი. საინტერესოა, რომ ლელა ჯავახიშვილმა 9 პარტიიდან 6 შავებით ითამაშა. სრულიად არნახული შემთხვევაა, მაგრამ ისმის კითხვა – რას უყურებდნენ მსაჯები?

# ლონდონში გამოიცა ლაშა ჯანჯღავას წიგნი

ლონდონის საჭადრაკო გამომცემლობამ გამოაქვეყნა დიდოსტატ ლაშა ჯანჯღავას წიგნი „ლაზიერის გამბიტი და კატალონიური დასაწყისი შავებით". ეს ქართველი მოჭადრაკის პირველი თეორიული წიგნია, რომელიც, კომენტატორ შვაიცერის აზრით, ორივე დებიუტში შავებით მოთამაშეებს გაუადვილებს პოზიციის გათანაბრებისათვის ბრძოლას.

# ნოდარ (თამაზ) ძაგანიშვილი



ქართულ სპორტს, საქართველოს საფარიკაო სამყაროს, 59 წლისა გამოაკლდა საქართველოს მოფარიკავეთა თაობების ნიჭიერი აღმზრდელი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ნოდარ (თამაზ) ძაგანიშვილი.

თბილისში დაბადებული ყმაწვილი ფარიკაობას მოსწავლეობის პერიოდში ეზიარა, დაამთავრა საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტი. 1970 წლიდან მწვრთნელად დაიწყო მუშაობა თბილისის განათლების ფარიკაობის სპორტსკოლაში, პარალელურად თავის ცოდნას გადასცემდა №2 უმაღლესი დაოსტატების რესპუბლიკური სპორტსკოლის აღსაზრდელებს. მისი შეგირდებიდან ბევრი გახდა სპორტის ოსტატი, თბილისის, საქართველოს, სსრ კავშირის და საერთაშორისო შეჯიბრებების გამარჯვებული და პრიზიორი. დიდხანს იმუშავა საქართველოს ვაჟ რაპირისტთა ნაკრების უფროს მწვრთნელად, პერიოდულად იწვევდნენ სსრ კავშირის ნაკრებში როგორც გამორჩეულ სპეციალისტს. საქართველოს რაპირისტებმა მისი ხელმძღვანელობით 1981 წელს საკავშირო ჩემპიონატში მეორე ადგილი დაიკავეს, 1985 წელს კი მესამე პრიზიორები გახდნენ. მისი აღზრდილი გიორგი აბაშიძე იუნიორთა შორის სამგზის (1976-78 წ) იყო სსრ კავშირის ჩემპიონი, მრავალგზის გახდა საკავშირო პრიზიორი რამაზ გიორგაძე, სსრ კავშირის ნაკრების წევრი იყო ზურაბ აფციაური.

შესანიშნავი პიროვნების და სპეციალისტის ნოდარ ძაგანიშვილის ნათელი ხსოვნა არასდროს წაიშლება მისი აღზრდილებისა და კოლეგების, მეგობრების, საქართველოს ფარიკაობის სამყაროს თითოეული წევრის მეხსიერებიდან, ქართული სპორტის ისტორიიდან.

საქართველოს ფარიკაობის ფედერაცია

პანაშვიდი: 13,14.02, 16 სთ. თამარ მეფის, 30. დაკრძალვა 15.02, სოფ ჯილაურაში 13 სთ-ზე.

# ეთერ ხახუბიას გამოსათხოვარი



ხანოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ვეტერანი ტანმოვარჯიშე, სახალხო განათლების წარჩინებული მუშაკი, სპორტის ოსტატი ეთერ ხახუბია.

სპორტულ ტანვარჯიშში მეცადინეობა მშობლიურ ფოთში დაიწყო სკოლის ასაკში, შესანიშნავი სპორტული მონაცემების ქალიშვილმა სწავლა საქართველოს ფიზიკულტურის ინსტიტუტში განაგრძო და იქვე ოსტატდებოდა გამოჩენილი სპეციალისტის სამსონ თედეევის ხელმძღვანელობით. ამასთან, იყო წარჩინებული სტუდენტი. წარმატებით გამოდიოდა რესპუბლიკურ შეჯიბრებებში, სტალინის ამბებთან დაკავშირებით, 1956 წელს კომკავშირის რიგებიდან გარიცხეს, რამაც საკავშირო შეჯიბრებებზე გამოსვლის ყველანაირი იმედი გადაუწურა.

ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მასწავლებლობა დაიწყო. დიდხანს იმუშავა თბილისის 150-ე საშუალო სკოლაში და იყო სპორტული სკოლების მეთოდისტი. 90-იანი წლების დასაწყისში სკოლიდან დაითხოვეს. ნამდვილი მიზეზი მისი აქტიურობა, შეხედულებები იყო, ვერ ურიგდებოდა უსამართლობას.

ე. ხახუბია მოწოდებით ჟურნალისტი გახლდათ. ათეული წლების განმავლობაში აქტიურად თანამშრომლობდა „ლელოში", კრიტიკულ წერილებს აქვეყნებდა საქართველოს სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებში, უშვებდა საკუთარ გაზეთსაც. სპორტულ თემაზე გამოცემული აქვს წიგნი და ბროშურა.

შესანიშნავი სპეციალისტის, თაობათა საყვარელი აღმზრდელის, სამშობლოს ჭეშმარიტი პატრიოტის ეთერ ხახუბიას ნათელი ხსოვნა არასდროს წაიშლება მისი აღზრდილებისა და მეგობრების, საერთოდ, იმ ადამიანების მეხსიერებიდან, ვინც მას ახლოს იცნობდა.

თანაკურსელები და მეგობრები

## ტოტო ლოტო №05 ტირაჟის შედეგები 10–11.02.2001

**ლოტო 6-42** 9 12 13 17 30 33

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 6 რიცხვი | 0 | x | 3815.00 ლარი | გადავიდა შემდეგ ტირაჟში |
| 5 რიცხვი | 1 | x | 193.00 ლარი | |
| 4 რიცხვი | 14 | x | 9.10 ლარი | |
| 3 რიცხვი | 206 | x | 1.00 ლარი | |

**სუპერ** 5 6 1 8 4 5 5

| | | | |
|---|---|---|---|
| 5 6 1 8 4 5 5 | 50,000 ლარი | 4 5 5 | 50 ლარი |
| 6 1 8 4 5 5 | 15,000 ლარი | 5 5 | 3 ლარი |
| 1 8 4 5 5 | 5,000 ლარი | 5 | 0.50 ლარი |
| 8 4 5 5 | 500 ლარი | | |

**ტოტო ფეხბურთი 12 მატჩი** 1XX 221 XX2 121

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 12 შედეგი | 0 | x | 12937.40 ლარი | გადავიდა შემდეგ ტირაჟში |
| 11 შედეგი | 0 | x | 318.60 ლარი | გადავიდა შემდეგ ტირაჟში |
| 10 შედეგი | 0 | x | 318.60 ლარი | გადავიდა შემდეგ ტირაჟში |

06-ე ტირაჟის პროგრამა (17-18. 02. 2001)

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1. | იტა. | ბარი – იუვენტუსი | 10-30-60 |
| 2. | იტა. | პერუჯა – ლაციო | 20-30-50 |
| | იტა. | რეჯინა – ფიორენტინა | 20-20-60 |
| 3. | იტა. | ატალანტა – ვიჩენცა | 50-30-20 |
| 4. | გერ. | ჰანზა – ლევერკუზენი | 20-30-50 |
| | გერ. | ვერდერი – შალკე | 40-30-30 |
| 5. | გერ. | შტუტგარტი – ჰერტა | 30-30-40 |
| 6. | გერ. | კოტბუსი – ფრაიბურგი | 30-40-30 |
| 7. | ესპ. | სოსიედადი – ესპანიოლი | 20-20-60 |
| 8. | ესპ. | ლას პალმასი – ვალენსია | 20-40-40 |
| | ესპ. | ვილიარეალი – ვალიადოლიდი | 50-30-20 |
| 9. | ესპ. | ოსასუნა – ალავესი | 30-30-40 |

**ტოტო ფეხბურთი 11 მატჩი** 111 1X2 1X1 11

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 11 შედეგი | 0 | x | 97.00 ლარი | გადავიდა შემდეგ ტირაჟში |
| 10 შედეგი | 3 | x | 9.60 ლარი | |
| 9 შედეგი | 6 | x | 4.80 ლარი | |

06-ე ტირაჟის პროგრამა (17-18. 02. 2001)

| | | | |
|---|---|---|---|
| 1. | გერ. I | დორტმუნდი – ჰამბურგი | 50-30-20 |
| 2. | გერ. I | კიოლნი – კაიზერი | 40-30-30 |
| 3. | გერ. I | ვერდერი – შალკე | 30-30-40 |
| 4. | გერ. I | შტუტგარტი – ჰერტა | 30-30-40 |
| 5. | გერ. I | უნტერჰახინგი – ბაიერნი | 20-30-50 |
| 6. | გერ. I | ჰანზა – ლევერკუზენი | 20-30-50 |
| 7. | გერ. I | კოტბუსი – ფრაიბურგი | 30-40-30 |
| 8. | გერ. I | ვოლფსბურგი – ბოხუმი | 50-30-20 |
| 9. | გერ. II | ობერჰაუზენი – ფიურტი | 50-30-20 |
| 10. | გერ. II | მაინცი – მიონხენგლადბახი | 20-40-40 |
| 11. | გერ. II | ზანქტ პაული – დუისბურგი | 40-40-20 |

## სპორტული ლოტო №05 ტირაჟის შედეგები 11.02.2001

| | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 22 | 5 | 9 | 13 | 1 | 21 | 8 | 12 | 10 | 20 |
| | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 |
| | 24 | 4 | 18 | 15 | 16 | 23 | 14 | 6 | 3 | 17 |
| | | 10,000 | 1,000 | 100 | 50 | 10 | 5 | 2 | 1 | 1 |

2 7 11 19

ზურაბ ოზრიშვილი (თბილისი), იოსებ ბიტკაშა (ქუთაისი)

## მნიშვნელოვანი სპორტული გადაცემები




13 თებერვალი, სამშაბათი

*საქართველოს ტელევიზია, 1 არხი.* ჩვენი ფეხბურთი (10.25), *რუსთავი-2.* ჩემპიონთა ლიგა: „რეალი" – „ლაციო" (23.40), – მიმოხილვა (2.00), *მე-9 არხი.* ევროპის სტადიონებზე (20.00), *HTB.* ფეხბურთი, ჩემპიონთა ლიგა: „ბავარია" – „სპარტაკი" (23.35), *HTB плюс спорт.* კალათბურთი, ნბა (16.20), ჩოგბურთი. დევისის თასი (17.15, 22.35), *ESPN.* ფეხბურთი: ინგლისის ჩემპიონატი (06.00, 13.00), იტალიის ჩემპიონატი (12.00), ჩემპიონთა ლიგა „ლიდსი" – „ანდერლეხტი", პირდაპირი რეპორტაჟი (23.30), „რეალი" – „ლაციო (02.00), *EUROSPORT.* სამთოთხილამურები. მსოფლიო პირველობა (11.30), რალი. მსოფლიო ჩემპიონატი (14.00, 18.00), ფეხბურთი. გერმანიის თასი (17.00), სუმოს დიდი ტურნირი (23.00), ციგურაობა. მსოფლიო ჩემპიონატი (3.15), *HTB плюс футбол.* რუსეთის ჩემპიონატი (18.15), ესპანეთის ჩემპიონატის მიმოხილვა (22.40), ჩემპიონთა ლიგა: „ლიონი" – „არსენალი" (23.40), „რეალი" – „ლაციო" (1.45).

14 თებერვალი, ოთხშაბათი

*საქართველოს ტელევიზია. I არხი.* ფეხბურთი. ამხანაგური, საერთაშორისო: საქართველო – უკრაინა (14.55, რეპორტაჟი ბ. პაიჭაძის სახ. სტადიონიდან), *რუსთავი-2.* ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა: „ვალენსია" – „მანჩესტერი" (23.40), – მიმოხილვა (2.00), *ევრიკა.* „მსოფლიო სპორტი" (20.00), *მე-9 არხი.* ევროპის სტადიონებზე (11.25, 20.00), *HTB.* ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა: „ვალენსია" – „მანჩესტერ იუნაიტედი" (23.35), *HTB плюс спорт.* ჰოკეი. ნხლის ჩემპიონატი (21.15), ჩოგბურთი. დევისის თასი (16.00), ფრენბურთი. ჩემპიონთა ლიგა (18.55), კალათბურთი. ევროლიგა (23.30), *ESPN.* ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა: „ლიდსი" – „ანდერლეხტი" (08.30), „რეალი" – „ლაციო" (19.00), „ვალენსია" – „მანჩესტერ იუნაიტედი" (23.30), „მილანია" – „პარი-სენ-ჟერმენი" (02.00), *HTB плюс футбол.* ჩემპიონთა ლიგა: „ბავარია" – „სპარტაკი" (13.15), „ლიონი" – „არსენალი" (15.00), „რეალი" – „ლაციო (17.35), „ლიდსი" – „ანდერლეხტი" (20.20), „შტურმი" – „პანათინაიკოსი" (23.40), „მილანი" – პსჟ (1.45).

15 თებერვალი, ხუთშაბათი

*საქართველოს ტელევიზია. რუსთავი-2.* ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა (15.15), *ევრიკა.* მსოფლიო სპორტი (20.00), *მე-9 არხი.* ევროპის სტადიონებზე (11.20), *HTB плюс спорт.* ფრენბურთი. ჩემპიონთა ლიგა (12.10), კალათბურთი. ევროლიგა (14.55), მოტორბოლა. ყინულზე რბოლა (19.55), მძლეოსნობა. საერთაშორისო შეჯიბრება (22.30), *ESPN.* ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა: „ვალენსია" – „მანჩესტერ იუნაიტედი" (08.30), „მილანი" – პსჟ (19.00), ინგლისის ჩემპიონატის მიმოხილვა (22.00), *EUROSPORT.* ფეხბურთი. გზად მსოფლიო თასი-2002-სკენ (11.30, 20.30), თხილამურები. მსოფლიო პირველობა (14.00, 16.00, 19.30, 0.00), სუმოს დიდი ტურნირი (23.00), ფეხბურთი. უეფას თასი (2.15). *HTB плюс футбол.* ჩემპიონთა ლიგა: „ვალენსია" – „მანჩესტერ იუნაიტედი" (13.45), „ლიდსი" – „ანდერლეხტი" (15.30), „მილანი" – პსჟ (17.15), „გალათასარაი" – "დეპორტივო" (19.20) – მე-3 ტურის მიმოხილვა (23.25), „მონდიალი" (22.55).

## კროსვორდი №12

**თარაზულად:** 6. მარცხისათვის სამაგიეროს გადახდა, 7. წარსულში ქართველი ძალოსანი, 8. ზამთრის ოლიმპიური თამაშების მასპინძელი ქალაქი, 9. იტალიის სერია-B-ს საფეხბურთო კლუბი. 11. იტალიის ავტოდრომი, 13. პროფესიონალი ინგლისელი მოკრივე. 15. ავსტრიელი საფეხბურთო მსაჯი, 17. ჩილელი ფეხბურთელი, ფორვარდი, 18. ზამთრის ოლიმპიური თამაშების მასპინძელი ქალაქი, 20. არგენტინელი ფეხბურთელი, მცველი, 21. სპორტული მანქანა, 23. საქართველოს წყალსათხილამურო ფედერაციის თავკაცი, 26. ნორვეგიის საფეხბურთო ნაკრების წევრი, 28. ლატვიის საფეხბურთო კლუბი, 29. წარსულში ჩეხოსლოვაკიელი ჩოგბურთელი ვაჟი, 30. წარსულში რუმინელი ჩოგბურთელი ვაჟი.

**შვეულად:** 1. საქართველოს საფეხბურთო კლუბი, 2. სარბიელი, 3. სახელგანთქმული არგენტინელი ფეხბურთელი, 4. ცრუ მოძრაობა სპორტულ თამაშებში, 5. შეჯიბრების დასაწყისი, 9. ამერიკელი ჩოგბურთელი ვაჟი, 10. სპორტის სახეობა, 12. ექს-ცხუმელი, ამჟამად საფეხბურთო მწვრთნელი, 14. 1990 წლის მონდიალის საუკეთესო ბომბარდირი, 15. წარსულში კაუნასის საფეხბურთო კლუბი, 16. მოლდოველი ფეხბურთელი, 19. ამერიკელი ჩოგბურთელი ქალი, 22. სპორტული საქონლის მწარმოებელი ფირმა, 24. ასპარეზობაში დაწინაურებული, 25. თბილისის საფეხბურთო კლუბი, 26. შეფასება ძიუდოში, 27. წარსულში ქუთაისის საფეხბურთო კლუბი.



## №11 კროსვორდის პასუხები:

**თარაზულად:** 1. მეტრეველი, 5. არიფი, 6. რინგი, 9. „დელა", 10: ოზოლინა, 12. ზანა", 16. ბიკილა, 17. ნარსია, 18. სამარანჩი, 21. ელგერა, 22. გრანტი, 15. ინსი, 26. „კალიარი", 27. „ალგა", 30. მარაო, 31. ფსონი, 32. ოვერტაიმი. **შვეულად:** 1. მური, 2. ტიფოზი, 3. ემიანი 4. იოგა, 7. ბლოკი, 8ისა, 9. „დებრეცენი", 11. „ლივერპული", 13. „აკადემიკა", 14. გლისერი, 15. ლაზიერი, 19. აგასი, 20. ონილი, 23. სადაძე, 24. პროსტი, 28. „რაიო", 29. ენეი.

## საჭადრაკო ამოცანა

პ. მარაკულინი



შამათი 3 სვლაში

წინა ნომერში გამოქვეყნებული ამოცანის ამოხსნა:

1. მe2! მუქარა 2. ეf4X.
1. ...fe 2. ლh3X. 1. ...ე:e2 2. ლ:f3X.
1. ...კh - 2. მg3X. 1. ...მe6 2. ლ:e6X.
1. ...მფ:e4 2. ლd3X.

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14. ინდექსი 66435 INDEX. ● „ლელოს" სამაგიდო-კომპიუტერული სისტემა: ხელმძღვანელი გურამ სიმონიშვილი. შემსრულებლები: მერი წოწორია, ნანი რამიშვილი. ინჟინერ-პროგრამისტი ირინე ხიდაშონიძე.